

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვის ფარგლები¹(ამონარიდი)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-6 მუხლი გამოიყენება როგორც „სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან“, აგრეთვე, „სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან“ დაკავშირებით. კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფით განმტკიცებული გარანტიები ვრცელდება ორივე ტიპის სამართალწარმოებაზე, თუმცა მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას უზრუნველყოფს და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის სხვადასხვა გარანტიები მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს გამოიყენება. კონვენციის მე-6 მუხლი არ ვრცელდება საქმის წარმოებაზე, რომელიც არ შეიძლება მიჩნეული იყოს არც სამოქალაქო და არც სისხლისსამართლებრივად.

1. „სამოქალაქო უფლებების“ განსაზღვრა

სამოქალაქო სამართალწარმოებისას მე-6 მუხლის გამოყენება საქმის განხილვის დროს „უფლებათა განსაზღვრას“ ან „სამართლებრივ დავაში“ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე გადაწყვეტილების არსებობას საჭიროებს. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები და პროცედურული სამართლებრივი პოზიციები. კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების წინაპირობა შიდა კანონმდებლობაში მატერიალურ-სამართლებრივი უფლების არსებობაა.² „სამოქალაქო უფლების“ კონცეფცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) მიერ ავტონომიურად განიმარტება. მატერიალურ-სამართლებრივი უფლების არსებობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ეროვნული სასამართლოების მიერ შესაბამისი შიდა კანონმდებლობის განმარტება.³ მაგალითად, კომპენსაციის უფლება, რომელიც, პოლონეთსა და გერმანიას შორის არსებული

¹ იხ. European Convention on Human Rights Commentary by Dr.Dr. Christoph Grabenwarter (Judge at the Austrian Constitutional Court; Professor of Public and International Law; Vienna University of Economics and Business; Institute for European and International Law). Published by Verlag C.H.Beck; Co-published by Hart Publishing, Nomos Verlagsgesellschaft; pp.100-170.

² ECtHR, 19/10/2005, (GC), *Roche v UK*, საჩ. ნომ. 32555/96, §§ 116 et seq სასამართლოს წინა პრაქტიკაზე მითითების შესაბამისად.

³ რამდენადაც პრობლემატური ECtHR, 27/6/2006, *Coorplan-Jenni GmbH a. Hascic v AUT*, საჩ. ნომ. 10523/02, §§ 56 et seq; ECtHR, 27/7/2006, *Jurisc a. Collegium Mehrerau v AUT*, საჩ. ნომ. 62539/00, §§ 58 et seq უცხოელი თანამშრომლის „სამოქალაქო უფლება“, რომელმაც დასაქმების ნებართვისთვის მიმართა ავსტრიას.

ორმხრივი შეთანხმების თანახმად, ნაციონალ-სოციალისტური პერიოდის მსხვერპლებს მიენიჭათ, შესაძლოა, მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში სამოქალაქო უფლებას წარმოადგენდეს. სახელმწიფო თავისუფალია საკომპენსაციო სქემის დაარსებისა და ბენეფიციარების ფარგლების განსაზღვრისას. ამრიგად, გამომდინარე იქედან, რომ ზოგადი სქემა შემუშავებული იყო და გონივრულად შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო, რომ მომჩივანი აკმაყოფილებდა კომპენსაციის მიკუთვნების პირობებს, მას მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის თანახმად ჰქონდა „სამოქალაქო უფლება“.⁴

დავა, რომლის წარდგენაც სურს მომჩივანს ევროპული სასამართლოს წინაშე, უნდა იყოს სერიოზული ხასიათის.⁵ დავა სერიოზული ხასიათისაა თუ შეიძლება ითქვას, რომ იგი აღიარებულია შიდა კანონმდებლობის მიერ⁶, ხოლო იგი საკმარისია თუ მომჩივანს სადავო საფუძვლებზე მითითებით შეუძლია განაცხადოს, რომ მას შიდა კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული უფლება აქვს⁷. იმის დასადგენად განსაზღვრული უფლება იყო თუ არა დაფუძნებული სადავო საფუძვლებზე, საკმარისია შეფასდეს თუ რამდენად მყარი იყო მომჩივნის არგუმენტები.⁸ აღმასრულებელ ხელისუფლებას მათ წინაშე არსებული დავების გადასაწყვეტად ხშირად მინიჭებული აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივ წარმოებაში, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას მინიჭებული ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება⁹, მე-6 მუხლი გამოყენებადი იყო.

კონვენციის მე-6 მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, მე-6 მუხლი, ვიწრო მნიშვნელობით, საჯარო სამართლის გარკვეულ უფლებებსაც მოიცავს.¹⁰ სამოქალაქო და საჯარო უფლებების გამიჯვნისას გარკვეული სირთულე წარმოიქმნება.

⁴ ECtHR, 18/5/2010, *Szal v POL*, საჩ. ნომ. 41285/02, § 34.

⁵ ECtHR, 5/10/2000, *Mennitto v ITA*, საჩ. ნომ. 33804/96, §§ 22, et seq; ECtHR, 15/10/2009 (GCs), *Micallef v MLT*, საჩ. ნომ. 17056/06, § 74.

⁶ *Matscher*, Gerard J. Wiarda-ის კვლევები, გვ. 404; ECtHR, 30/1/2001, *Dudova a. Duda v CZE*, საჩ. ნომ. 40224/98; ECtHR, 23/9/2008, *Athinen v FIN*, საჩ. ნომ. 48907/99, § 38.

⁷ მაგ., ECtHR, 8/7/1987, *Baraona v POR*, საჩ. ნომ. 10092/82, §§ 38 et seq; სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა ასევე იყოს სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული პირობები და ვალდებულებები, ECtHR, 25/11/1993, *Zander v SWE*, საჩ. ნომ. 14282/88, § 24; საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლებების შესაბამისად, ECtHR, 24/11/1994, *Beaumartin v FRA*, საჩ. ნომ. 15287/89, § 28.

⁸ ECtHR, 27/4/1989, *Neves e Silva v PoR*, საჩ. ნომ. 11213/84, § 37; ECtHR, 26/3/1992, *Editions Periscope v Fra*, საჩ. ნომ. 11760/85, § 38; ECtHR, 28/9/1995, *Procola v LUX*, საჩ. ნომ. 14570/89, § 37.

⁹ ECtHR, 28/6/1990, *Obermeier v AUS*, საჩ. ნომ. 11761/85, § 66 et seq.

¹⁰ *Velu/Ergeç*, m. n. 421, *Grabenwarter/Pabelo*, §24 m. n. 7.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სამოქალაქო უფლებების განსაზღვრისათვის რამდენიმე მიდგომას ავლენს, თუმცა აღნიშნული მიდგომა არ არის ერთგვაროვანი.¹¹ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით შეიძლება გაიმიჯნოს „სამოქალაქო უფლებების“ სამი ჯგუფი: 1) საქმეები, სადაც გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სამოქალაქო-სამართლებრივ პოზიციებზე; 2) საქმეები, სადაც დავის გადაწყვეტა ეფუძნება დავის სამოქალაქო და საჯარო სამართლებრივი ასპექტების „შეპირისპირებას“ და 3) „მატერიალურ“ უფლებებთან დაკავშირებული საქმეები.

პირველ ჯგუფში, სადაც გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სამოქალაქო-სამართლებრივ პოზიციებზე, საქმეები, ძირითადად, შეეხება საკუთრების უფლებას და, პროფესიის თავისუფლების მნიშვნელობის ფარგლებში, სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე, სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელებასა და საკუთრების გადაცემის თავისუფლებას. ასევე არსებობს საქმეთა ჯგუფები, რომლებიც აისახება პირის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაზე.¹²

მეორე ჯგუფში არსებული საქმეები, ძირითადად, სოციალური დაცვის სამართალს შეეხება. სოციალური დახმარების შესახებ კანონის თანახმად წარდგენილი სარჩელის ყველა სამოქალაქო და საჯაროსამართლებრივი ასპექტის შეპირისპირების შემდეგ სასამართლო ხშირად ადგენს, რომ სამოქალაქო ელემენტები (მაგ.: ქვრივისათვის დამატებითი პენსიის მინიჭება, შემწეობის მიღება) საჯაროსამართლებრივ ელემენტებს გადაწონის.

მესამე ჯგუფი ჩამოყალიბებულია მატერიალური უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე საქმეების მიხედვით.

მოქალაქეთა უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართალწარმოება, რომელიც საჯარო სამართალს მიეკუთვნება, მოიცავს, მაგალითად, გადასახადების გადახდას¹³, სავალდებულო სამხედრო სამსახურის

¹¹ კრიტიკა *van Dijk/Viering*, van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak, გვ. 538 et seq.

¹² ECtHR, 17/9/2009 (GC), *Enea v ITA*, საჩ. ნომ. 74912/01, §§103 et seq; ECtHR, 6/7/2010, *Pocius v LIE*, საჩ. ნომ. 35601/04, § 43; ECtHR, 20/11/2012, *Alexandre v POL*, საჩ. ნომ. 33197/09, §§ 51 et seq.

¹³ ECtHR, 12/7/2002, *Ferrazzini v ITA*, საჩ. ნომ. 44759/98, § 29, cf. *Velu/Ergec*, m. n. 429; *Lemmens, Geschillen*, გვ. 243; *Gerin*, *Alcune osservazioni sulla competenza dagli organi giurisdizionali della Convenzione Europea dei diritti dell'uomo in materia di idritti civili*, Ballon/Hagen-თან (ed.), *Verfahrensgarantien im nationalen und internationalen Prozessrecht*, Franz Matscher-ში, 1993, გვ. 157 (160 et seq); *Yernault*, *Le fisc, ses amendes et la matiere penale*, RTDH 1995, 427 (428, 433); *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 13; *van Dijk/Viering*, van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaakში, გვ. 528 et seq; სასამართლოს პრაქტიკის

შესრულების ან ალტერნატიული სამსახურის გავლის ვალდებულებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებასა და პოლიტიკის სფეროს ფარგლებში არსებულ უფლებებს (მაგ. ხმის მიცემის უფლება).

კონვენციის მე-6 მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე საქმის განხილვასთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით საკონსტიტუციო სამართალწარმოება (მაშინაც კი, როდესაც აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა განიხილება) მე-6 მუხლის ფარგლებში ექცევა თუ მისი შედეგი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებებისათვის გადაწყვეტია. საკონსტიტუციო და სამოქალაქო სამართალწარმოებას შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთობა არსებობს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს მომჩივნის „სამოქალაქო უფლებაზე“ ან როდესაც სამოქალაქო სამართალში კომპეტენტურმა სასამართლომ კონსტიტუციურობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. პოლიტიკური პარტიების მიერ მათი პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების უფლებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოება არც სამოქალაქო უფლების თაობაზე დავაა და არც სისხლისსამართლებრივ ბრალდებას შეეხება.

2. „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განსაზღვრა

იმის გადასაწყვეტად, მე-6 მუხლის მიზნებისათვის, არსებობს თუ არა „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს 1976 წლის ენგელის გადაწყვეტილებით¹⁴ დადგენილ სამ კრიტერიუმს (ე.წ. ენგელის კრიტერიუმები). ესენი არიან: 1) შიდა კანონმდებლობის თანახმად ნორმის კლასიფიკაცია; 2) დანაშაულის ბუნება და 3) სასჯელის ბუნება და სიმკაცრე.¹⁵ აღნიშნული კრიტერიუმები ალტერნატიულია, ე.ი. მხოლოდ ერთი კრიტერიუმის არსებობა საკმარისია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მეორე და მესამე კრიტერიუმებთან დაკავშირებით, კუმულატიური მიდგომაა შემუშავებული.

ყოველსაშუალოდ შეფასებისათვის cf. *Baker*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 2000, 298 (306 et seq; cf. ასევე ECtHR, 13/7/2006, *Stork v GER*, საჩ. ნომ. 38033/02, § 28;

¹⁴ ECtHR, 8/6/1976, *Engel a. o. v NED*, საჩ. ნომ. 5100/71 და სხვა, §§ 83 et seq; კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა საქმეში ECtHR, 23/11/2006 (GC), *Jussila v FIN*, საჩ. ნომ. 73053/01, §§ 30 et seq.

¹⁵ Cf. ECtHR, 29/8/1997, *A.P., M.P. a. T.P. v SUI*, საჩ. ნომ. 19958/92, § 39.

კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში „სისხლისსამართლებრივი ბრალდების” არსებობის შეფასების საწყისი წერტილი სახელმწიფოს მიერ საკითხის დანაშაულად კლასიფიკაციაა. პრაქტიკაში ეს კრიტერიუმი ნაკლებ როლს თამაშობს.¹⁶ მეორე კრიტერიუმი, „დანაშაულის ბუნება”, მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული კრიტერიუმი დაკავშირებულია იმ დანაშაულის ბუნებასთან, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით. სასჯელი, რომელიც შეიძლება დაკისრებულ იქნას და რომელიც პრევენციული და რეპრესიული ხასიათისაა, მე-6 მუხლის ფარგლებში ხვდება. თეორიულად, ყველა წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სიტუაცია უნდა იქნეს გათვალისწინებული.¹⁷

დანაშაულის ცნების შეფასებისას მხედველობაში მიღებული უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტი. ყველაზე გადამწყვეტია ის სამართლებრივი სიკეთე, რომლისკენაც არის მიმართული დებულება, რომელიც კონკრეტული ქმედებისათვის სასჯელს აწესებს. ქმედების სისხლისსამართლებრივი ბუნების მაჩვენებელია თუ დებულებები პირდაპირ არის საზოგადოებისაკენ მიმართული (სულ მცირე პოტენციურად). გარდა ამისა, დებულებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, სასჯელის ბუნება და მიზანი რელევანტურია. ამ კონტექსტში შიდა სამართლებრივ სისტემაში სასჯელის ფუნქცია მნიშვნელოვანია. კონკრეტულ საქმეზე დაკისრებული სასჯელი და სასჯელის ზომა ან ოდენობა, რომელიც გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება იქნას დაკისრებული, რელევანტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოყენებულია სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა. საბოლოოდ, დანაშაულის გასახსნელად წარმოებულმა პროცედურამ (მაგ.: პოლიციის გამომძიებლების მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიების წარმოება ან სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის კომპეტენცია) შესაძლოა, დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ბუნების თაობაზე მინიშნება გააკეთოს.¹⁸

გ) მესამე კრიტერიუმი (სასჯელის ბუნება და სიმკაცრე) მიმართულია ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის სიმკაცრისაკენ, რომლის წინაშეც შეიძლება ეჭვმიტანილი აღმოჩნდეს და იგი დაკავშირებულია მეორე კრიტერიუმთან (დანაშაულის ბუნებასთან), კერძოდ, მის სამართლებრივ შედეგებთან. მესამე კრიტერიუმის ფარგლებში სასჯელის სიმკაცრე მოიცავს ეჭვმიტანილზე სასჯელის ზეგავლენას, სასჯელის სახეს (პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ღონისძიება,

¹⁶ ECtHR, 23/11/2006 (GC), *Jussila v FIN*, საჩ. ნომ. 73053/01, § 37.

¹⁷ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 19; *Kidd*, დისციპლინური სამართალწარმოებისა და სისხლის სამართლის სამართლიანი პროცესის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, ICLQ 1987, 856 (858 et seq).

¹⁸ ECtHR, 1/5/2005, *Ziliberberg v MDA*, საჩ. ნომ. 61821/00, § 34.

ჯარიმები და ა.შ.), სასჯელის მაქსიმუმს, რაც შეიძლება პირს დაეკისროს, და, აგრეთვე, აღსრულების პირობებს. მე-6 მუხლის გამოყენების შეფასებისას გადამწყვეტია არა მიკუთვნებული სასჯელი, არამედ სასჯელი, რომელიც შეიძლება მიკუთვნებული ყოფილიყო და რაც, ზოგადად, მაქსიმალურ სასჯელს წარმოადგენს. აღნიშნული დამოკიდებულია არა სამართალწარმოების შედეგზე, არამედ იმის მნიშვნელობაზე თუ რა იყო საფრთხის ქვეშ.¹⁹ მესამე კრიტერიუმის მიზნებისათვის სასჯელის სიმკაცრის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხშირად, მიუთითებს კონკრეტულ საქმეზე მიკუთვნებულ სასჯელსა და მის ოდენობაზე;²⁰ ეს არ ამცირებს თავდაპირველად საფრთხის ქვეშ არსებული სიკეთის რელევანტურობას.²¹

რაც შეეხება სასჯელს, რომელიც შეიძლება პირს დაეკისროს, უნდა გაიმიჯნოს სასჯელის სხვადასხვა სახე. პატიმრობა, ზოგადად, ადგენს მე-6 მუხლის გამოყენებას.²² გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც თავისუფლების აღკვეთას, თავისი ბუნებით, ხანგრძლივობითა და აღსრულების ხერხით, მომჩივანზე არ აქვს არსებითად ნეგატიური გავლენა, მე-6 მუხლი გამოყენებადი არ არის.²³

ენგელის კრიტერიუმების შინაარსიდან და სასამართლოს პრაქტიკისათვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ისინი ცალ-ცალკე უნდა იყოს გამოკვლეული და რომ ერთ-ერთი კრიტერიუმის არსებობა საკმარისია კონვენციის გამოყენებისათვის. ზოგადად, თუ ქმედება შიდა კანონმდებლობის მიხედვით სისხლისსამართლებრივად არის მიჩნეული ან თუ ქმედება მისი ბუნებიდან და სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, კონვენცია გამოყენებადია. ამრიგად, მეორე და მესამე კრიტერიუმს შორის ურთიერთკავშირი არსებობს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში კუმულატიურ განხილვას საჭიროებს, კერძოდ, როდესაც მათი იზოლირებული განხილვა ცალსახა პასუხამდე არ მიგვიყვანს.

¹⁹ უკვე ECtHR, 8/6/1976, *Engel a. o. v NED*, საჩ. ნომ. 5100/71 და სხვა, § 85.

²⁰ მაგ., ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, საჩ. ნომ. 7819/77 და სხვა, §§ 72 et seq; ECtHR, 24/2/1994, *Bendenoun v FRA*, საჩ. ნომ. 1254/86, § 47; ECtHR, 10/6/1996, *Benham v UK*, საჩ. ნომ. 19380/92, § 56; ECtHR, 12/10/1999, *Perks a. o. v UK*, საჩ. ნომ. 25277/94, § 76.

²¹ ECtHR, 8/6/1976, *Engel a. o. v NED*, საჩ. ნომ. 5100/71 და სხვა, § 82.

²² ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, საჩ. ნომ. 7819/77 და სხვა, §§ 72 et seq; ECtHR, 27/8/1991, *Demicoli v MLT*, საჩ. ნომ. 13057/87, §§ 34 et seq; ECtHR, 26/2/2002, *Morris v UK*, საჩ. ნომ. 38784/97, § 38.

²³ ECtHR, 8/6/1976, *Engel a. o. v NED*, საჩ. ნომ. 5100/71 და სხვა, § 82; ECtHR, 18/11/1970, *De Wilde, Ooms a Versyp ('Vagrancy') v BEL*, საჩ. ნომ. 2832/66 და სხვა, § 79: სასამართლო მე-6 მუხლით არ ითხოვს ზოგად სარჩელს, იმ საქმეებზე, სადაც პირებს აღეკვეთათ თავისუფლება. ის მხოლოდ ითხოვს, რომ პროცედურული გარანტიები არ უნდა ' [იყოს] ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების არსებულ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე შესამჩნევად დაქვემდებარებული'.

„ბრალდების” ცნება ავტონომიური განმარტების საგანია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი როგორც კი მიიღებს ოფიციალურ განმარტებას მის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე ბრალდების არსებობის შესახებ, მას წარდგენილი აქვს „სისხლისსამართლებრივი ბრალდება”.²⁴ კონვენციის მე-6 მუხლი გამოყენებადია მხოლოდ იმ სამართალწარმოების მიმართ, რომელიც იხილავს სისხლისსამართლებრივ ბრალდებას და, შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს ეჭვმიტანილის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ. სამართალწარმოება არ იხილავს სისხლისსამართლებრივ ბრალდებას და ამრიგად აღარ ექცვა მე-6 მუხლით დაცულ ფარგლებში თუ იგი მხოლოდ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი წარმოების ღონისძიებებს ამოწმებს. მაგალითად, გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მომჩივნის ხანგრძლივად დაკავებას.²⁵ მსგავსი სამართალწარმოება ნამდვილად არის სისხლისსამართლებრივი ბუნების, თუმცა იგი არ განიხილავს ბრალდების ვალიდურობას.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული გარანტიები

კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული გარანტიების ფარგლები სამ სფეროდ შეიძლება დაიყოს, კერძოდ, ა) ტრიბუნალები ბ) ტრიბუნალის ხელმისაწვდომობის უფლება და გ) პროცედურული გარანტიები ვიწრო მნიშვნელობით (სამართლიანი განხილვის პრინციპი).

1. ტრიბუნალები

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად ყველა სამართალწარმოება, რომელიც მისი გამოყენების ფარგლებში ხვდება, კანონით დაფუძნებულმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ტრიბუნალმა უნდა განახორციელოს. „ტრიბუნალის” ცნება ავტონომიურად უნდა განიმარტოს. გადაწყვეტილების მიმღები შიდასახელმწიფოებრივი ორგანო „ტრიბუნალია” თუ იგი კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მიუხედავად იმისა, რომ შიდა კანონმდებლობის მიხედვით იგი შეიძლება არ იყოს სასამართლო. აღნიშნული მოთხოვნები შედარებით მკაცრად არის განსაზღვრული კონვენციაში და ევროპული სასამართლოს მიერ ავტონომიურად განიმარტება; ამრიგად, მონაწილე

²⁴ ECtHR, 27/2/1980, *Deweert v BEL*, საჩ. ნომ. 6903/75, 46.

²⁵ ECtHR, 27/6/1968, *Neumeister v AUT*, საჩ. ნომ. 1936/63, § 23.

სახელმწიფოებს აღნიშნულთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, არ აქვთ შეფასების ზღვარი.

პირველ რიგში, ჩვეულებრივი იურისდიქციის სასამართლოები, მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, „ტრიბუნალებად“ მიიჩნევიან. გარდა ამისა, ეროვნული ტერმინოლოგიისაგან დამოუკიდებლად, მე-6 მუხლის მიხედვით ტრიბუნალები მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ ყველა ორგანოს, რომელთაც აქვთ კომპეტენცია დავა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით გადაწყვიტონ.²⁶ ორგანო კომპეტენტური უნდა იყოს, რათა განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნქცია.²⁷ უფრო მეტიც, ორგანო კომპეტენტური უნდა იყოს, რომ მიიღოს მხარეთათვის მხოლოდ ძალის მქონე გადაწყვეტილება,¹³⁵ დაადგინოს საქმეზე ფაქტები და ფაქტებს სამართლებრივი დებულებები მიუსადაგოს. საბოლოოდ, ტრიბუნალის გადაწყვეტილება მხარის საზიანოდ არ უნდა შეიცვალოს არასასამართლო ხელისუფლების ორგანოს მიერ.²⁸

ორგანოები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნის თაობაზე და ბრძანებას გასცემენ აღნიშნულის შესახებ, არ ექცევა მე-6 მუხლის ფარგლებში, ვინაიდან იგი საქმის სრულად გადასინჯვას არ ახდენს, არამედ გადაწყვეტილებას იღებს ასეთი მოთხოვნის დასაშვებობის თაობაზე.²⁹

ტრიბუნალის წევრები არ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები იყვნენ. მოსამართლე, რომელიც არ არის პროფესიონალი იურისტი, შეიძლება არჩეულ იქნას მოსამართლედ, მათი სპეციფიკური გამოცდილებიდან გამომდინარე.³⁰

კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ტრიბუნალი „კანონით უნდა იყოს დაფუძნებული“. ამ კრიტერიუმის მიზანია თავიდან აირიდოს

²⁶ ECtHR, 29/4/1988, *Belilos v SUI*, საჩ. ნომ. 10328/83, § 64; ECtHR, 22/10/1984, *Sramek v AUT*, საჩ. ნომ. 8790/79, § 36; ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, საჩ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 76, ECtHR, 16/7/1971, *Rengeisen v AUT*, საჩ. ნომ. 2614/65, § 95; ECtHR, 6/4/2004, *Rozsa v AUT*, საჩ. ნომ. 67950/01/.

²⁷ ECtHR, 23/6/1981, *Le Compte a. o. v BEL*, საჩ. ნომ. 6878/75, § 55; ECtHR, 23/10/1985, *Bentham v NED*, საჩ. ნომ. 1936/63, § 24.

²⁸ ECtHR, 28/10/1999 (GC), *Brumarescu v ROM*, საჩ. ნომ. 28342/95, § 63; ECtHR, 22/5/1998, *Vasilescu v ROM*, საჩ. ნომ. 27053/95, § 39 et seq; ასევე ECtHR, 26/2/2002, *Moriis v UK*, საჩ. ნომ. 38784/97, § 73; პრინციპი შესაძლოა განიხილოს, როგორც „დამოუკიდებლობის“ კომპონენტი, cf. ECtHR, 25/2/1997, *Findlay v UK*, საჩ. ნომ. 22107/93, § 77 და ECtHR, 19/4/1994, *Van de Hurk v NED*, საჩ. ნომ. 16034/90, § 45.

²⁹ ECtHR, 23/9/1982, *Sporring a. Lonroth v SWE*, საჩ. ნომ. 7151/75 და სხვა, § 86.

³⁰ ECtHR, 22/10/1984, *Sramek v AUT*, საჩ. ნომ. 8790/79, § 39; ECtHR, 23/6/1981, *Le Compte a. o. v BEL*, საჩ. ნომ. 6878/75, § 55; ECtHR, 22/6/1989, *Langborger v SWE*, საჩ. ნომ. 11179/84, § 30; ECtHR, 23/4/1987, *Ettl a. o. v AUT*, საჩ. ნომ. 9273/81, §§ 37 et seq;

სპეციალიზებული სასამართლოები, ე.ი. სასამართლოს კოლეგიები, რომლებიც შექმნილია *ad hoc* კანონით ან ადმინისტრაციული აქტით.³¹ კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს და, სხვათა შორის, უზრუნველყოფს ტრიბუნალების დამოუკიდებლობას.³²

„კანონის“ ცნებაც ავტონომიურად უნდა ჩამოყალიბდეს. ამრიგად, გარკვეული მინიმალური მოთხოვნები უნდა შესრულდეს. „კანონი“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში არის სავალდებულო დებულება, რომელსაც აქვს სამართლებრივი ძალა და, შესაბამისად, მას თვითნებური ქმედების შეზღუდვა შეუძლია.³³ ტრიბუნალი „კანონით არის გათვალისწინებული“ თუ იგი ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის³⁴ ან სახელმწიფოში გამოყენებადი საერთაშორისო საჯარო სამართლის დებულებების მიხედვით.³⁵

სპეციალური ტრიბუნალები, მაგალითად, როგორცაა სამხედრო სასამართლოები მე-6 მუხლთან თავსებადია თუ პროცედურული გარანტიები საკმარისად არის უზრუნველყოფილი.³⁶ კანონით გათვალისწინებული საარბიტრაჟო სასამართლო, ასევე, ხვდება მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, მაშინაც კი თუ იგი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საქმისათვის არის დაფუძნებული. მე-6 მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება სამართალწარმოებაზე, სადაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით უარი განაცხადეს მე-6 მუხლით განმტკიცებულ ინსტიტუციონალურ და პროცედურულ გარანტიებზე. კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ კანონის უზენაესობის მინიმალური მოთხოვნები შესრულებული უნდა იყოს.³⁷

ტრიბუნალი დამოუკიდებელი უნდა იყოს. ტრიბუნალის დამოუკიდებლობა, *inter alia*, ფასდება მისი წევრების დანიშვნის და მათ მიერ საქმიანობის განხორციელების ვადის, ისევე, როგორც გარე ზეწოლის მიმართ არსებული გარანტიების არსებობის

³¹ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 29.

³² EComHR, 12/10/1978, *Zand v AUT*, საჩ. ნომ. 7360/76.; ECtHR, 21/6/2011, *Fruni v SVK*, საჩ. ნომ. 8014/07, § 134.

³³ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 31.

³⁴ ECtHR, 23/6/1981, *Le Compte a. o. v BEL*, საჩ. ნომ. 6878/75, § 56.

³⁵ ECtHR, 12/7/2007, *Jorgic v GER*, საჩ. ნომ. 74613/01, §§ 66 et seq (საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბამისად მოქმედი წესის ინტერპრეტაცია ომის დანაშაულის შეფარდებისას, კერძოდ, გენოციდის კონვენცია).

³⁶ ECtHR, 26/2/2002, *Morris v UK*, საჩ. ნომ. 38784/97, § 59; ECtHR, 16/12/2003, *Greives v UK*, საჩ. ნომ. 57067/00, § 100; ECtHR, 16/12/2003, *Cooper v UK*, საჩ. ნომ. 48843/99, § 71; ECtHR, 12/5/2005 (GC), *Ocalan v TUR*, საჩ. ნომ. 46221/99, § 112 et seq.

³⁷ იხ. დეტალურად m. n. 86.

საფუძველზე.³⁸ პირველ რიგში უნდა შეფასდეს ტრიბუნალი დამოუკიდებელია თუ არა ადმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისაგან.³⁹

ტრიბუნალის წევრების დანიშვნა ადმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ *per se* არ არის დამოუკიდებლობის მოთხოვნასთან წინააღმდეგობაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განახორციელებენ თუ არა ტრიბუნალის წევრები მათზე დაკისრებულ ვალდებულებას ადმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად.⁴⁰

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოსამართლეების მიერ საქმიანობის განხორციელების ვადის ხანგრძლივობით, ინსტრუქციებისაგან თავისუფლებითა და, ზოგადად, მათი შეუცვლელიობით განისაზღვრება. მოსამართლეთა საქმიანობის განხორციელების ვადა აუცილებელი არ არის, რომ უვადო იყოს, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტაბილურობა. მოსამართლის საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 5 წლიანი ვადა მე-6 მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.⁴¹ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა თავისთავად არ გულისხმობს დამოუკიდებლობის ნაკლებობას. მათ მიერ საქმიანობის განხორციელების პერიოდში მოსამართლეები შეიძლება გათავისუფლებულნი იყვნენ თანამდებობიდან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და განსაზღვრული მიზეზებით, რომლებიც კანონმდებლობით დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

გარდა ამისა, ტრიბუნალის დამოუკიდებლობა, რომელიც სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს, გარანტირებული უნდა იყოს. მოსამართლეები თავისუფალნი უნდა იყვნენ ინსტრუქციებისაგან და ანგარიშვალდებულნი არ უნდა გახლდნენ არავის მიმართ.⁴² აღნიშნული მიმართულია იმის უზრუნველსაყოფად,

³⁸ ECtHR, 22/11/1995, *Bryan v UK*, სარ. ნომ. 19178/91, § 37; ECtHR, 22/6/1986, *Langborger v SWE*, სარ. ნომ. 11179/84, § 32; ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, სარ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 78; ECtHR, 25/2/1997, *Findlay v UK*, სარ. ნომ. 22107/93, § 73; ECtHR, 23/6/1981, *Le Compte a. o. v BEL*, სარ. ნომ. 6878/75, § 55; ECtHR, 2/9/1998, *Lauko v SVK*, სარ. ნომ. 26138/95, § 63.

³⁹ ECtHR, 27/6/1968, *Neumeister v AUT*, სარ. ნომ. 1936/63, § 24; ECtHR, 16/7/1971, *Ringeisen v AUT*, სარ. ნომ. 2614/65, § 95; ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, სარ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 78.

⁴⁰ ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, სარ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 79; ECtHR, 22/10/1984, *Sramek v AUT*, სარ. ნომ. 8790/79, § 38.

⁴¹ ECtHR, 22/10/1984, *Sramek v AUT*, სარ. ნომ. 8790/79, §§ 38, 26; ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, სარ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 80.

⁴² ECtHR, 28/6/1984, *Campbell a. Fell v UK*, სარ. ნომ. 7819/77 და სხვა, § 78; ECtHR, 22/10/1984, *Sramek v AUT*, სარ. ნომ. 8790/79, § 38; ECtHR, 8/7/1986, *Lithgow a. o. v UK*, სარ. ნომ. 9006/80 და სხვა, § 202; ECtHR,

რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება კანონისა და კეთილსინდისიერების შესაბამისად მიიღოს.

სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს საქმის გადაწყვეტა „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის“ მიერ არ არის შეზღუდული მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებით. იგი ასევე შეიცავს ვალდებულებას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სხვა სახელმწიფო ორგანოსთან დაკავშირებით, რათა პატივი სცენ და დაემორჩილონ სასამართლოს განჩინებებსა და გადაწყვეტილებებს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმებიან მას. ამრიგად, სახელმწიფოს მიერ სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა არის სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების წინაპირობა.

ტრიბუნალი მიუკერძოებელი უნდა იყოს. ამ მოთხოვნის მიზანია უზრუნველყოს, რომ პირი, ვისი საქმეც განიხილება, ენდობა იმ ტრიბუნალის მიუკერძოებლობას, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონცეფციები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებით გამოიყენება.⁴³ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას ფუნქციური კავშირიც აერთიანებთ, რადგან დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობის წინაპირობაა.⁴⁴ უფრო მეტიც, სამართალწარმოების ობიექტურობა დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. შესაბამისად, კონკრეტულ საქმეზე შესაძლოა, გართულდეს ამ ორი კრიტერიუმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.⁴⁵ ტრიბუნალის მიუკერძოებლობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშველობა ენიჭება ფაქტობრივ და პროცედურულ გარემოებებს და ყოველ კონკრეტულ საქმეზე სამართალწარმოების განსაზღვრულ საკითხებს, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე წამოიჭრა.⁴⁶

ევროპული სასამართლო განცალკევებით აფასებს ტრიბუნალის პირად და ობიექტურ მიუკერძოებლობას. სუბიექტური მიდგომით იგი აფასებს იყო თუ არა მოსამართლე მიკერძოებელი ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი, ხოლო ობიექტური მიდგომით ევროპული სასამართლო, მოსამართლის პირადი ქმედებისგან დამოუკიდებლად, განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ფაქტი,

24/114/1994, *Beaumartin v FRA*, საჩ. ნომ. 15287/89, §§ 38 et seq; მოსამართლის ანგარიშვალდებულება: EComHR, 22/2/1984, *Sutter v SUI*, საჩ. ნომ. 8209/78.

⁴³ მაგ., ECtHR, 8/2/2005, *Miller v SWE*, საჩ. ნომ. 55853/00, § 28; ECtHR, 9/10/2008, *Moiseyev v RUS*, საჩ. ნომ. 62936/00, § 175; ECtHR, 6.10.2011, *Agrokompleks v UKR*, საჩ. ნომ. 23465/03, § 128.

⁴⁴ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 39.

⁴⁵ ECtHR, 22/6/1986, *Langborger v SWE*, საჩ. ნომ. 11179/84, § 32.

⁴⁶ Cf. ECtHR, 24/2/1993, *Fey v AUT*, საჩ. ნომ. 14396/88, § 27.

რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვებს წარმოშობს და, ამასთანავე, ადგენს, მოსამართლემ წარმოადგინა თუ არა საკმარისი გარანტიები, რათა გამოერიცხა ყოველგვარი ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.⁴⁷ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე ტენდენციურობის საფუძველზე მოსამართლის აცილებას მოითხოვს ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მოსამართლე საქმეს იქნება ჩამოშორებული. საკითხი არსებობს თუ არა რაიმე საჭიროება იმისა, რომ მოსამართლე არ იქნეს აცილებული საქმიდან, წამოიჭრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეთა არგუმენტებს პასუხი გაეცემა და დადგინდება, გამართლებულია თუ არა მოსამართლის აცილების თაობაზე მოთხოვნა.

იმისათვის, რომ დადგინდეს იყო თუ არა კონკრეტულ საქმეზე მოსამართლე მიკერძოებელი, შესწავლილი უნდა იყოს მისი ურთიერთობა მხარეებთან.⁴⁸ მოსამართლის ქმედება განხილული უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ მთლიან კონტექსტში.⁴⁹ მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები.⁵⁰ აღნიშნული გამომდინარეობს პრინციპიდან, რომლის მიხედვით ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულოა, თუ ზემდგომი სასამართლო არ შეცვლის მას.⁵¹

პირად მიუკერძოებლობაზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა ნაფიც მსაჯულებს შეეხება.⁵² თუ ნაფიც მსაჯულის მიკერძოებულობის თაობაზე ბრალდება არსებობს, ეროვნული ტრიბუნალები ვალდებულნი არიან გამოიკვლიონ არის თუ არა აღნიშნული ბრალდება დასაბუთებული. მსგავსი გამოკვლევის შეუსრულებლობა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდება აშკარად დაუსაბუთებელია.⁵³ ნაფიც

⁴⁷ Cf. ECtHR, 15/10/2009 (GC), *Micallef v MILT*, საჩ. ნომ. 17056/06, § 74; s ECtHR, 15/12/2005 (GC), *Kyprianou v CYP*, საჩ. ნომ. 73797/01, §§ 118 et seq, ორივე შემთხვევაში მიიშნება წინა სასამართლო პრაქტიკაზე.

⁴⁸ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 43.

⁴⁹ EComHR, 21/3/1975, *X v UK*, საჩ. ნომ. 5574/72.

⁵⁰ ECtHR, 24/5/1989, *Hauschildt v DEN*, საჩ. ნომ. 101486/83, § 47; ECtHR, 1/10/1982, *Piersack v BEL*, საჩ. ნომ. 8692/79, § 30; ECtHR, 26/10/1984, *De Cubber v BEL*, საჩ. ნომ. 9186/80, § 25; ECtHR, 15/12/2005 (GC), *Kyprianou v CYP*, საჩ. ნომ. 73797/01, § 119.

⁵¹ ECtHR, 10/6/1996, *Pullar v UK*, საჩ. ნომ. 22399/93, § 32.

⁵² ECtHR, 25/11/1993, *Holm v SWE*, საჩ. ნომ. 14191/88, § 30.

⁵³ ECtHR, 23/4/1996, *Remli v FRA*, საჩ. ნომ. 16839/90, § 48; იხ. ასევე Viennot, *Actualites et perspectives ouvertes par la jurisprudence recente de la cour auropeenne des droits de l'homme en matiere d'impartialite*, RTDH 2008, 179 (189 et seq).

მსაჯულსა და მოწმეს შორის კავშირის არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს აღნიშნული მოწმის დაკითხვის მიმართ ტრიბუნალის მხრიდან მიუკერძოებლობის ნაკლებობას, თუმცა ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა შეფასდეს ნაცნობობის ბუნება და ხარისხი.⁵⁴

ობიექტური მიუკერძოებლობის განმტკიცებისათვის კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს პროცედურული გარანტიები, რომლებიც ადეკვატურად უზრუნველყოფს, რომ საქმის განხილვაში ჩართული არ იყოს მიკერძოებული მოსამართლე. მაგალითად, ობიექტური მიუკერძოებლობა დარღვეულია, როდესაც ახლო ოჯახური კავშირი, როგორცაა დედმამიშვილობა, არ არის მიჩნეული მიკერძოების შემთხვევად.⁵⁵ გარდა ამისა, მიუკერძოებლობა გარანტირებული უნდა იყოს კონკრეტული პროცედურებით. მიკერძოების შეფასებისას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, თუ როგორ აღიქმება კონკრეტული ქმედება. დარღვევის დასადგენად საკმარისია, მიკერძოებასთან მიმართებით შესაფასებელი ფაქტების მიერ ეჭვების წარმოშობა. აღნიშნული პრინციპის მიზანია განამტკიცოს შეხედულება, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო საზოგადოების შთაგონების წყარო უნდა იყოს.⁵⁶

საქმის განხილვამდე გადაჭარბებულმა საჯაროობამ ან მწვავე მედია კამპანიამ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მართლმსაჯულების სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, რადგან მასზე საზოგადოების აზრმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს და, შესაბამისად, ნაფიც მსაჯულმა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება აღნიშნულის მიხედვით მიიღოს.⁵⁷ მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო პროცესის ბუნება და, კერძოდ, ნაფიცი მსაჯულის როლი მიმართულია იმისკენ, რომ უზრუნველყოს სამართალწარმოების სამართლიანობა. მიუკერძოებლობა შეიძლება დაირღვეს, მაგალითად, როდესაც რამდენიმე ნაფიც მსაჯული იყო ან არის პოლიტიკური პარტიის აქტიური წევრი.⁵⁸

⁵⁴ ECtHR, 10/6/1996, *Pullar v UK*, საჩ. ნომ. 22399/93, § 36; ECtHR, 20.12.2011, *Hanif a. Khan v UK*, საჩ. ნომ. 52999/08 და სხვა, §§ 142 et seq (პოლიციის იფიცრის დასწრება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე).

⁵⁵ ECtHR, 15/10/2009 (GC), *Micallef v MLT*, საჩ. ნომ. 17056/06, § 100.

⁵⁶ ECtHR, 21/12/2000, *Wettstein v SUI*, საჩ. ნომ. 33958/96, § 44; ECtHR, 4/4/2000, *Academy Trading Ltd a.o. v GRE*, საჩ. ნომ. 30342/96, § 45; ECtHR, 28/10/1998, *Castillo Algar v ESP*, საჩ. ნომ. 28194/95, § 45; ECtHR, 10/10/2000, *Daktaras v LIT*, საჩ. ნომ. 42095/98, § 32.

⁵⁷ ECtHR, 5/12/2002, *Craxi v ITA* (ნომ. 1), საჩ. ნომ. 34896/97, § 98.

⁵⁸ ECtHR, 25/11/1993, *Holm v SWE*, საჩ. ნომ. 9186/80, §§ 30 et seq.

სისხლისსამართლებრივ სასამართალწარმოებაში მოსამართლეები, რომელთაც საქმის ძირითად განხილვამდე ჩამოყალიბებული აქვთ საკუთარი მოსაზრება, არ უნდა იყვნენ ჩართულნი საქმის წარმოებაში.⁵⁹ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში მოსამართლე მიკერძოებულად მიიჩნევა თუ იგი საქმეს იხილავს მას შემდეგ, რაც მის მიერ სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციის განხორციელებისას, მას შეხება ჰქონდა აღნიშნულ საქმესთან.⁶⁰ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეს მიღებული აქვს გადაწყვეტილება მსგავს საქმეზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მიერ განსახილველ საქმესთან ან რომ მოსამართლემ უკვე განიხილა თუ თანამონაწილის საქმე, თავისთავად, საკმარისი არ არის მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის წარმოსაშობად. თუმცა, განსხვავებულ შემთხვევასთან გვექნება საქმე, თუ მის მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს დასკვნებს, რომელიც მოცემულ სამართალწარმოებაში ბრალდებულის ბრალეულობას გადაწყვეტს.⁶¹

სასამართლო პროცესამდე საქმის დეტალური ცოდნა, თავისთავად, საკმარისი არ არის, რომ მოსამართლე მიკერძოებულად ჩაითვალოს.⁶² ყურადღება ექცევა სასამართლო პროცესამდე მოსამართლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ბუნებასა და ფარგლებს.⁶³ სტრასბურგის სასამართლოს თანახმად მოსამართლის ჩართულობა საქმის წინასასამართლო განხილვაში პრობლემას არ წარმოადგენს თუ მან არ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის ბრალეულობის თაობაზე. წინა სასამართლო ღონისძიებების გატარება, როგორცაა ინფორმაციის შეგროვება და საქმის მასალების გადაცემა, არ ამართლებს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ შიშებს.⁶⁴

კონვენციის მე-6 მუხლი დაირღვევა თუ მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პირველი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე მონაწილეობს

⁵⁹ ECtHR, 26/10/1984, *De Cubber v BEL*, საჩ. ნომ. 14191/88, §29; ECtHR, 27/8/1991, *Demicoli v MLT*, საჩ. ნომ. 13057/87, § 41:

⁶⁰ ECtHR, 1/10/1982, *Piersack v BEL*, საჩ. ნომ. 8692/79, § 30.

⁶¹ ECtHR, 24/3/2009, *Poppe v NED*, საჩ. ნომ. 32271/04, § 26.

⁶² ECtHR, 6/6/2000, *Morel v FRA*, საჩ. ნომ. 34130/96, § 45; ECtHR, 22/4/1994, *Saraiva de Carvalho v POR*, საჩ. ნომ. 15651/89, § 38.

⁶³ ECtHR, 24/8/1993, *Nortier v NED*, საჩ. ნომ. 13924/88, § 33; ECtHR, 24/2/1993, *Fey v AUT*, საჩ. ნომ. 14396/88, § 30; ECtHR, 6/6/2000, *Morel v FRA*, საჩ. ნომ. 34130/96, § 45.

⁶⁴ ECtHR, 24/2/1993, *Fey v AUT*, საჩ. ნომ. 14396/88, § 32; cf. ესევე ECtHR, 24/5/1989, *Hauschildt v DEN*, საჩ. ნომ. 10486/83, § 50, აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ძირითადად მოსამართლე არ არის პასუხისმგებელი პროცესისათვის საქმის მომზადებისთვის.

სააპელაციო სასამართლოს მიერ იმავე საქმის განხილვაში. თუ ეს გადაწყვეტილება შემდგომში შემოწმდება სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია და მე-6 მუხლით განმტკიცებულ გარანტიებს უზრუნველყოფს, ადგილი არ ექნება მე-6 მუხლის დარღვევას.⁶⁵ როდესაც სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო წარმოადგენს პეტიციას ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის თაობაზე და ამავდროულად, გასცემს რეკომენდაციას, რომ მიღებულ იქნეს ან გაუქმდეს კონკრეტული გადაწყვეტილება, მიუკერძოებლობის გარანტია დარღვეულია, იმ შემთხვევაში თუ საქმის განმხილველი ძველი კოლეგიის თავმჯდომარე აირჩევს საქმის ხელახლა განმხილველ მოსამართლეებს სისხლის სამართლის პალატიდან, რომელსაც თავად თავმჯდომარეობს.⁶⁶

რამდენიმე საქმეში, ევროპული სასამართლო განიხილავდა საკითხს, იყო თუ არა მოსამართლეთა მიერ ერთდროულად ორი ფუნქციის განხორციელება კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისი. მიუკერძოებლობის პრინციპი ირღვევა თუ საქმის განხილველი არაიურისტი მოსამართლე, მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოებაში მოსამართლის ფუნქციის განხორციელებასთან ერთად, პარალელურ სამართალწარმოებაში მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარის სამართლებრივი წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა თუ საქმეებს შორის არ არსებობს მატერიალური კავშირი. სტრასბურგის სასამართლოს თანახმად ასეთ შემთხვევაში მომჩივნის შიშები ობიექტურად გამართლებულია, რადგან მას შეიძლებოდა ჰქონოდა მიზეზი წუხილისათვის, რომ შესაბამის მოსამართლეს მასში კვლავ მოწინააღმდეგე მხარე დაენახა.⁶⁷ უბრალო ფაქტი, რომ მოსამართლე ამასთანავე მოქმედი ადვოკატია საკმარისი არ არის.⁶⁸

ტრიბუნალი მიუკერძოებლობის ნაკლებობას განიცდის თუ მოსამართლეთა ჩანაცვლებას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნული არ არის შეზღუდული პროცედურული გარანტიებით.⁶⁹ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ არსებული ეჭვები შეიძლება ობიექტურად

⁶⁵ ECtHR, 26/8/1997, *De Haan v NED*, საჩ. ნომ. 22839/93, §§ 47, 51, აღნიშნულ საქმეში, თავმჯდომარე მოსამართლე მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებაზე იყო პასუხისმგებელი, მაშინაც კი, როცა მუდმივი სამედიცინო ექსპერტის მოსაზრებას ადასტურებდა; ECtHR, 23/6/1981, *Le Compte a. o. v BEL*, საჩ. ნომ. 6878/75, § 58; ECtHR, 29/7/2004, *De San Leonard Band Club v MLT*, საჩ. ნომ. 77562/01, §§ 61 et seq.

⁶⁶ ECtHR, 10/10/2000, *Daktaras v LIT*, საჩ. ნომ. 42095/98, § 35.

⁶⁷ ECtHR, 21/12/2000, *Wettstein v SUI*, საჩ. ნომ. 33958/96, § 46.

⁶⁸ ECtHR, 19/5/2005, *Steck-Risch a. o. v LIE*, საჩ. ნომ. 63151/00, § 44.

⁶⁹ ECtHR, 9/10/2008, *Moiseyev v RUS*, საჩ. ნომ. 62936/00, §§ 177 et seq.

გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილველი კოლეგიის თავმჯდომარე გაურკვეველი მიზეზებით შეიცვალა.⁷⁰

ევროპული სასამართლო ეროვნული სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის ნეიტრალურობის საკითხს სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში განმტკიცებული მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განიხილავს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამის სამართალწარმოებაში ექსპერტის პროცედურულ პოზიციასა და როლს,⁷¹ აგრეთვე, მხარეთა შესაძლებლობას შეეწინააღმდეგონ ექსპერტის მოსაზრებებს და კითხვები დაუსვან მას.

2. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის ხელმისაწვდომობა

კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის ხელმისაწვდომობა კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული პროცედურული გარანტიების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედაა. მე-6 მუხლის 1 პარაგრაფი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მოპოვების უფლებას უზრუნველყოფს.⁷²

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონზე, ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „პრაქტიკული და ეფექტური“ უნდა იყოს და არა „თეორიული ან ილუზიური“. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ შექმნან გასაჩივრების სისტემა, რომელიც ყოველ ინდივიდს სასამართლო ხელმისაწვდომობის ეფექტურ უფლებას მიანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტი ცალსახად ადგენს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში, მართლმსაჯულების ინტერესის საჭიროებიდან გამომდინარე, უფასო სამართლებრივი დახმარების უფლებას. მე-6 მუხლის 1 პარაგრაფი სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის მსგავს გარანტიას არ შეიცავს. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლო სასამართლოს

⁷⁰ ECtHR, 3/5/2011, *Sutyagin v RUS*, საჩ. ნომ. 30024/02, § 192.

⁷¹ ECtHR, 5/7/2007, *Sara Lind Eggertsdottir v ISL*, საჩ. ნომ. 31930/04, §§ 47 et seq.

⁷² ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკანონმდებლო ზომები, რომელიც განიხილა საქალაქო სასამართლომ, ხელს უშლიდა მომჩივნის კომპანას, რომ შეეტანა სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, წარმოადგენდა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას, რამდენადაც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ხორვატიის სამამულო ომში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებისას ჯარისა და პოლიციის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ყველა სამართალწარმოება უნდა შეჩერებულიყო ამ საკითხების მარეგულირებელი ახალი დებულებების მიღებამდე: ECtHR, 10/07/2003, *Multiplex v CRO*, საჩ. ნომ. 58112/00, §§ 45 et seq.

ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას არ ადგენს, როდესაც მომჩივანს სამართლებრივ დახმარებაზე უარი ეთქვა.⁷³

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის გარანტია, კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის ფარგლებშიც კი, არ არის აბსოლუტური. შეზღუდვა ფორმულირებულია სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ფარგლებში. მსგავსი შეზღუდვები დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არსებობს გონივრული შესაბამისობა გამოყენებულ ღონისძიებასა და მისაღწევ მიზანს შორის. შეზღუდვამ საზღვრებში არ უნდა მოაქციოს ან არ უნდა შეამციროს უფლება იმგვარად ან იმ ფარგლებით, რომ უფლების ძირითადი არსი შეილახოს.⁷⁴ ამრიგად, სასამართლოს ხელმისაწვდომობა შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს; მისაღწევი მიზნის გათვალისწინებით კი შეზღუდვა პროპორციულობის პრინციპთან თავსებადი უნდა იყოს. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ლეგიტიმური მიზნისა და დასაბალანსებელი ინტერესების მრავალ მითითებას შეიცავს. *Golder* -ის საქმის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკით დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას საჭიროებს, რომელიც, საზოგადოებისა და ინდივიდების საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება დროისა და ადგილის მიხედვით განსხვავებული იყოს.⁷⁵

შეზღუდვა შეიძლება მიზნად ისახავდეს განმეორებითი სასამართლო უფლების ბოროტად გამოყენებისაგან და განმეორებითი სამართალწარმოებისაგან თავის არიდებას⁷⁶ ან ნაკლები მნიშვნელობის მქონე საქმეებით სასამართლოს გადატვირთულობის პრევენციას⁷⁷. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული გამოძიების მიმართ სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამართლებულია, რადგან ბავშვთა საუკეთესო

⁷³ ECtHR, 26/2/2002, *Del Sol v FRA*, სპ. ნომ. 46800/99, § 23 et seq; ECtHR, 21/9/2004, *Santambrogio v ITA*, სპ. ნომ. 61945/00, § 51 et seq; მაგრამ cf. ECtHR, 9/10/1979, *Airey v IRL*, სპ. ნომ. 6289/73, § 26 et seq.

⁷⁴ ECtHR, 28/5/1985, *Ashingdane v UK*, სპ. ნომ. 8225/78, § 57; ECtHR, 8/7/1986, *Lithgow a. o. v UK*, სპ. ნომ. 9006/80 და სხვა, § 194; ECtHR, 26/8/1991, *Philips v GRE*, სპ. ნომ. 12750/87 და სხვა, § 59; ECtHR, 15/11/2007, *Khamidov v RUS*, სპ. ნომ. 72118/01, § 155 et seq; *van Dijk/Viering, van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak*-ში, გვ. 573 et seq.

⁷⁵ ECtHR, 21/2/1975, *Golder v UK*, სპ. ნომ. 4451/70, § 38.

⁷⁶ ECtHR, 28/5/1985, *Ashingdane v UK*, სპ. ნომ. 8225/78, § 58.

⁷⁷ ECtHR, 27/11/2012, *Bayar a. Gurbuz v TUR*, სპ. ნომ. 37569/06, § 43.

ინტერესების დასაცავად აუცილებელია, ეფექტური და რაციონალური გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფა.⁷⁸

სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენის თაობაზე სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნის უფლება იმ პირის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა, რომელსაც ქმედუნარიანობა ნაწილობრივ შეზღუდული აქვს. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა არ არის თავსებადი კონვენციის მე-6 მუხლთან. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის პირდაპირი უფლება უნდა ჰქონდეთ, რათა მათ შეეძლოთ სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნის შესაძლებლობა.⁷⁹

სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და სარჩელების დასაშვებობის წინაპირობები, როგორცაა ხანდაზმულობის ვადა, სავალდებულო სამართლებრივი წარმომადგენელი, ფორმალური მხარეები, განსახილველი საქმის ნებადართულობა⁸⁰, ასევე, ზღუდავს სასამართლოს ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, მსგავსი წინაპირობის, მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის, კონკრეტულ საქმეზე გამოყენებამ შეიძლება კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის დარღვევა განაპირობოს.⁸¹ იმ შემთხვევაში, როდესაც მომჩივანმა კითხვა დასვა კომპენსაციის მოპოვების თაობაზე, სასამართლოს ხელმისაწვდომობის არაპროპორციულ შეზღუდვას წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოს მიერ კანონის საწინააღმდეგოდ ინსტრუქციის გაუცემლობა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრება და თუ შეიძლება, როგორ უნდა გასაჩივრდეს იგი.⁸² სასამართლოს ბაჟი (შესაბამის ქვეყანაში) მომჩივნის წლიურ საშუალო ხელფასს უნდა უტოლდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას.⁸³

სტრასბურგის სასამართლომ კანონით დადგენილი შეზღუდვის პერიოდი სამართლებრივი განჭვრეტადობის უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევ

⁷⁸ ECtHR, 25/9/2008, *K. T. v NOR*, საჩ. ნომ. 26664/03, §§ 98, 101 - ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს, როგორც არსებითი გარემოებების განმხილველი ერთადერთი უფლებამოსილი სასამართლოს, მიერ საქმის განხილვის ფარგლების გათვალისწინება, მე-6 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

⁷⁹ ECtHR, 17.1.2012, *Stanev v BUL*, საჩ. ნომ. 36760/06, §§ 241 et seq.

⁸⁰ ECtHR, 28/5/1985, *Ashingdane v UK*, საჩ. ნომ. 8225/78, § 59.

⁸¹ ECtHR, 14/6/2011, *Mercieca a. o. v MLT*, საჩ. ნომ. 21974/07, § 47.

⁸² ECtHR, 7/4/2009, *Mendel v SWE*, საჩ. ნომ. 28426/06, §§ 77 et seq.

⁸³ ECtHR, 19/6/2001, *Kreuz v POL*, საჩ. ნომ. 28249/95, §§ 61 et seq; ECtHR, 17/7/2007, *Mehmet a. Suna Yigit v TUR*, საჩ. ნომ. 52658/99, §§ 36 et seq.

საშუალებად ცნო.⁸⁴ გასაჩივრებისათვის დაწესებული შეზღუდული ვადები მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებისა და სამართლებრივი განჭვრეტადობის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. თუმცა, ამან მხარეებს ხელი არ უნდა შეუშალოს ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალების მოპოვებაში.⁸⁵ მაგალითად, გასაჩივრებისათვის ისეთი შეზღუდული ვადა, როგორცაა ხუთი დღე, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას არღვევს.⁸⁶ კონვენციის მე-6 მუხლს არღვევს, აგრეთვე, ხანდაზმულობის ვადის გაშვება, რომელიც პირველი ინსტანციის მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის საქმის დაგვიანებით მიწოდებით არის განპირობებული.⁸⁷ ზოგადად საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმების მომწესრიგებელი ნორმები ნათელი და თანმიმდევრული უნდა იყოს.⁸⁸ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაჭარბებულად ფორმალური პროცედურის შედეგად, საჩივარს მისი ფორმალური მხარის გაუმართაობის გამო დაუშვებლად ცნობენ.⁸⁹ უფრო მეტიც, ეროვნული სასამართლოები ვერ ასრულებენ კონვენციის მე-6 მუხლით მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, როდესაც სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი მოცემულ ვადაში არ წარადგენს საჩივარს და შიდა კანონმდებლობა, მსგავსი შემთხვევებისათვის, არ ითვალისწინებს გასაჩივრებისათვის ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შესაძლებლობას ან სისხლისსამართლებრივი საქმის ხელახლა განხილვას.⁹⁰

3. სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვა

სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის უფლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული პროცედურული უფლებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. თუმცა, ევროპული სასამართლოს ფუნქციას არ

⁸⁴ ECtHR, 7/7/2009, *Stagno v BEL*, საჩ. ნომ. 1062/07, §§ 25 et seq.

⁸⁵ ECtHR, 28/3/2006, *Melnyk v UKR*, საჩ. ნომ. 23436/03, § 23; ECtHR, 10/6/2010, *Demerdzieva a. o. v MKD*, საჩ. ნომ. 19315/06, § 25.

⁸⁶ ECtHR, 10/7/2001, *Tricard v FRA*, საჩ. ნომ. 40472/98, §§ 29 et seq; ECtHR, 16/3/2010, *Mamikon-yan v ARN*, საჩ. ნომ. 25083/05, §§ 27 et seq; ECtHR, 12/10/2010, *Adamicek v CZE*, საჩ. ნომ. 35836/05, § 58.

⁸⁷ ECtHR, 26/10/2000, *Leoni v ITA*, საჩ. ნომ. 43269/98, §§ 23 et seq; მსგავსად, ECtHR, 19/7/2007, *Freitag v GER*, საჩ. ნომ. 71440/01, §§ 39 et seq (კომპეტენტურ სასამართლოში საქმის გადაგზავნა).

⁸⁸ ECtHR, 20/5/2008, *Santos Pinto v POL*, საჩ. ნომ. 39005/04, § 44.

⁸⁹ ECtHR, 16/11/2000, *Sotiris a. Nikos Koutras ATTEE v GRE*, საჩ. ნომ. 39442/98, §§ 20 et seq; cf. ასევე ECtHR, 21/9/2004, *Zwiazek Nauczycielstwa Polskiego v POL*, საჩ. ნომ. 42049/98, §§ 37 et seq; ECtHR, 30/7/2009, *Dattel (ნომ. 2) v LUX*, საჩ. ნომ. 18522/06, §§ 44 et seq; ECtHR, 29/03/2011 (GC), *RTBF v BEL*, საჩ. ნომ. 50084/06, §§ 71 et seq.

⁹⁰ ECtHR, 22/11/2011, *Andreyev v EST*, საჩ. ნომ. 48132/07, §§ 65 et seq.

წარმოადგენს იმ მიზეზების შეფასება, თუ რატომ მიიღო ეროვნულმა სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. შესაბამისად, მე-6 მუხლი არ მოიცავს იმ ფაქტის შეფასებას, თუ რამდენად მიიღეს ეროვნულმა სასამართლოებმა „სწორი გადაწყვეტილება“.

სამართლიანობის პრინციპის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს: მხარეთა თანასწორობა; საქმის შესახებ დოკუმენტების გაცნობა; მხარეთა უფლება, რომ ზეპირ განხილვაზე წარმოთქვან თავიანთი მოსაზრებები; და უფლება, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების მიზეზების შესახებ. ამას გარდა, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში მოცემული ბრალდებულის უფლებები შეადგენენ სამართლიანობის მოთხოვნის ნაწილს, როგორც უფლებები, რომლებიც განვითარდა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, როგორცაა *nemo tenetur*. ზოგიერთ საქმეში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვეულია სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის უფლება ცალკეული ელემენტების შესწავლის გარეშე. ეს ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება არის იმდენად თვითნებური და გაუგებარი, რომ სასამართლო საჯარო განხილვა ზოგად კონტექსტში, ჩანს, რომ არ არის სამართლიანი.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნების მიხედვით ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. ყველა მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, რათა წარმოადგინოს თავისი არგუმენტები, მათ შორის მტკიცებულებები, იმ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში თავის ოპონენტთან შედარებით. მოწინააღმდეგე მხარეების სამართლებრივი მდგომარეობა უნდა იყოს აუცილებლად თანასწორი.

გარკვეული პრობლემები წარმოიშობა მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებით კერძო პირის ფუნდამენტურ უფლებებსა და მთავარ პროკურორს შორის. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის უფლების დარღვევა სისხლის სამართალწარმოებაში მთავარი პროკურორის მონაწილეობის გამო.⁹¹

ევროპული სასამართლოს აზრით, მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაირღვევა, თუ სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპი, რომ მოგებულ მხარეს უნდა

⁹¹ ECtHR, 30/10/1991, *Borgers v BEL*, No. 12005/86, § § 22 et seq, cf., თუმცა, ECtHR, 4/10/2007, *Corcuff v FRA*, No. 16290/04, §§ 32 et seq (ნაფიც მსაჯულთათვის საინფორმაციო შეხვედრაში მთავარი პროკურორის მონაწილეობით დარღვევას ადგილი არ ჰქონია).

აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯები წაგებული მხარის მიერ, არ გამოიყენება, როდესაც წაგებულ მხარეს წარმოადგენს სახელისუფლებლო ორგანო, რომელიც ქვეყნის ხაზინის ფინანსურ ინტერესებს წარმოადგენს.

მე-6 მუხლში არ არის გაწერილი რაიმე წესები მტკიცებულებების დასაშვებობაზე ან იმაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის. თუმცადა, სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპულმა სასამართლომ გარკვეულ ინდივიდუალურ საქმეებში მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოყენების გარკვეული კრიტერიუმები დაადგინა. კერძოდ, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სპეციფიკური, შესაბამისი და მნიშვნელოვანი არგუმენტები.⁹²

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის უფლება, ასევე, მოიცავს სისხლისსამართლებრივი ქმედებების გამოძიების პროცესში საიდუმლო აგენტების გამოყენების შეზღუდვას. კონვენციასთან შესაბამისი არ არის, როდესაც საიდუმლო აგენტები ახორციელებენ ქმედებებს არა იმ ქმედების გამოსაძიებლად, რომელიც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, არამედ აქეზებენ დანაშაულს, რომელიც მათი ჩარევის გარეშე არ მოხდებოდა ('agent provocateur').⁹³ სისხლის სამართალწარმოებაში ამგვარი ჩარევის დროს და მისი გამოყენებით ირღვევა სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის პრინციპი.⁹⁴ საიდუმლო აგენტის გამოყენებამდე უნდა არსებობდეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვიტანილის განზრახვასთან დაკავშირებით ობიექტური ეჭვები და შესაბამისად, ფარული გამოძიების სათანადო მიზეზი.⁹⁵

სისხლის სამართალწარმოებაში დაცვის მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ იდავოს და ამტკიცოს ფარული აგენტების მიერ დანაშაულის წაქეზების შესახებ.

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ან აღიარება, სასამართლო პროცესს აქცევს უსამართლოდ, მიუხედავად იმისა, ის მოპოვებულია წამებით, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობით. მტკიცებულება, რომელიც არაპირდაპირ მოპოვებულია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, ზოგადად, არ უნდა იყოს გამოყენებული

⁹² ECtHR, 21.4.2011, *Nechiporuk a Yonkalo v UKR*, Application no. 42310/04, § § 275 et seq.

⁹³ ECtHR, 9/6/1998, *Teixeira de Castro v POR*, No. 25829/94, §§ 38 et seq; ECtHR, 15/12/2005, *Vanyan v RUS*, No. 53203/99, §§ 46 et seq; ECtHR, 21/2/2008, *Pyrgiotakis v GRE*, No. 15100/06, see ECtHR, 4/11/2010, *Bannikova v RUS*, No. 18757, § 36 et seq.

⁹⁴ ECtHR, 9.6.1998, *Teixeira de Castro v POR*, No. 25829/94, § 39

⁹⁵ ECtHR, 4/11/2010, *Bannikova v RUS*, No. 18757/06, § 39 et seq.

სისხლის სამართალწარმოებაში. თუმცა, სამართალწარმოების სამართლიანობა განიხილება იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებას აქვს გავლენა მომჩივნის მსჯავრდებაზე.

Gäfgen-ის საქმეში დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ არ დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლო საჯარო განხილვის პრინციპი, რადგან მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა შიდა სასამართლოების მიერ, რომლებიც დაეყრდნენ მხოლოდ ახალ სრულ აღიარებას. ყველა სხვა მტკიცებულება სასამართლო პროცესზე ან არ იყო მოპოვებული კონვენციის დარღვევით ან გამოიყენებოდა მხოლოდ აღიარების უტყუარობის შესამოწმებლად. ევროპულმა სასამართლომ, შესაბამისად, დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მე-3 მუხლის დარღვევით განხორციელებული გამოძიების მეთოდებსა და მომჩივნის მსჯავრდებასა და სასჯელს შორის. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გამოძიების აკრძალულ მეთოდებს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მომჩივნის ახალ სრულ აღიარებასთან სასამართლო პროცესზე.⁹⁶

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), ასევე, მოიცავს უფლებას, სასამართლო პროცესზე მოუსმინონ მხარეებს. პროცესში ჩართულ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ან თავად, ან სათანადოდ წარმოდგენილი სამართლებრივი წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლოები ვალდებული არიან, სათანადოდ გამოიკვლიონ მხარეების მიერ წარმოდგენილი ყველა არგუმენტი ან მტკიცებულება.⁹⁷ მოსამართლეები, რომლებიც იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც სერიოზულ გავლენას მოახდენს პირის ქმედუნარიანობაზე, ასევე პირადი შეხება უნდა ჰქონდეთ ამ პირებთან.⁹⁸ უფლების, სასამართლო პროცესზე მოუსმინონ მხარეებს, სამართლიანი სასამართლოს უფლება ეფექტური განხორციელების წინაპირობაა, ორივე მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, ჰქონდეთ ინფორმაცია საქმეში არსებულ დოკუმენტებსა და მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით.⁹⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პროკურატურისგან მოითხოვს, რომ მათ გაამჟღავნონ მათ ხელთ არსებული ყველა ნივთიერი მტკიცებულება,

⁹⁶ ECtHR, 1/6/2010 (GC), Gäfgen v GER, No. 22978/05, §§178 et seq.

⁹⁷ ECtHR, 19/4/1994, Van de Hurk v NED, No. 16034/90, § 59.

⁹⁸ ECtHR, 27/3/2008, Shtukaturov v RUS, 44009/05, §§ 71 et seq.; ECtHR, 3/11/2011, X. a. Y. v CRO, 5193/09, § 84.

⁹⁹ ECtHR, 28/8/1991, Brandstetter v AUT, No. 11170/84 et al, §§ 66 et seq; ECtHR, 23/6/1993, Ruiz-Mateos v ESP, No. 12952/87, § 63; ECtHR, 16/2/2000, Rowe a. Davis v UK, No. 28901/95, § 60.

მნიშვნელობა არ აქვს ბრალდებულის სასარგებლოდ არის ის, თუ - საწინააღმდეგოდ.¹⁰⁰ ეს უკვე დაცვის მხარის პროეროგატივაა, შეაფასოს, რამდენად იმსახურებს წარმოდგენილი მტკიცებულება ყურადღების მიქცევას.¹⁰¹ მომჩივანს უნდა მიეცეს უფლება, გაასაჩივროს კონვენციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების ავთენტურობა და გამოყენება.¹⁰²

უფლება, რომ სასამართლო პროცესზე მხარეებს მოუსმინონ, ასევე ვრცელდება კერძო საარბიტრაჟო სასამართლოებზეც. ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, შეადგინონ „საკონტროლო სისტემა“, რომელიც უზრუნველყოფს საარბიტრაჟო პროცედურების შესაბამისობას კანონის უზენაესობის მინიმუმ სტანდარტებთან.¹⁰³

სამართალწარმოებაში ექსპერტის დანიშვნაც, ასევე, უნდა შეფასდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპის ჭრილში. სასამართლოთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი არ ვრცელდება ექსპერტებზე. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული პრინციპები, როდესაც ექსპერტის მოსაზრებები ატარებს მნიშვნელოვან ხასიათს სამართალწარმოებისათვის. როდესაც სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება ეფუძნება ექსპერტის დასკვნებს, მომჩივანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ კითხვები დაუსვას ექსპერტს, რათა გამოირიცხოს ყველანაირი ეჭვი ექსპერტის დასკვნების სანდოობასთან დაკავშირებით.¹⁰⁴

მე-6 მუხლი ასევე მოიცავს მხარეთა უფლებას, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება ნაფიც მსაჯულებზე. ისინი ვალდებული არ არიან, წარმოადგინონ მათი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

ზოგიერთ შემთხვევაში გონივრული ვადის მოთხოვნა აუცილებლად არ იქნება დარღვეული იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოები სამართალწარმოების გონივრულ ხანგრძლივობას გადააჭარბებენ. ხელშემკვრელმა მხარეებმა შეიძლება, თავიდან აიცილონ მე-6 მუხლის დარღვევა სამართალწარმოების გადაჭარბებული

¹⁰⁰ ECtHR, 24/6/2003, Dowsett v UK, No. 39482/98, §§ 41 et seq.

¹⁰¹ ECtHR, 15/09/2009, Sharomov v RUS, No. 8927/02, §§ 44.

¹⁰² ECtHR, 12/5/2000, Khan v UK, No. 35394/97, §§ 38 et seq.

¹⁰³ Cf. EComHR, 2/12/1991, Firma Heinz Schiebler KG v GER, No. 18805/91; EComHR, 2/12/1991, Jacob BOSS Söhne KG V GER, No. 18479/91.

¹⁰⁴ ECtHR, 4/11/2008, Bulsytė-Lideikiene v LTU, No. 72596/01, §§ 64 et seq.

ხანგრძლივობის კომპენსირებით, კერძოდ, მაგალითად, ჯარიმის შემცირებით, სისხლის სამართალწარმოების დახურვით, ან კომპენსაციის გადახდით.¹⁰⁵

4. სამართალწარმოების ხანგრძლივობა

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით სასამართლოებმა გადაწყვეტილება „გონივრული ვადის ფარგლებში“ უნდა მიიღონ. ეს გარანტია, ერთი მხრივ, ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის კომპონენტია. მეორე მხრივ, სამართლიანი სასამართლოს ინდივიდუალურ გარანტიებთან დაკავშირებით პრობლემა წარმოიქმნება, რამდენადაც პროცედურული უფლებები მუდმივად იწვევს სამართალწარმოების პროცესის გახანგრძლივებას.¹⁰⁶ განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შემცირდეს საქმის შედეგის შესახებ გაურკვევლობის პერიოდი.

ევროპული სასამართლოს წინაშე არსებული არაერთი საჩივარი დაფუძნებულია მე-6 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ გარანტიაზე, კერძოდ, გონივრული ვადის მოთხოვნაზე. ეს კი ევროპული სასამართლოს გადატვირთვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, სამოქალაქო სამართალწარმოებისას მხედველობაში მისაღები დროის პერიოდი სამართალწარმოების დაწყებიდან ან სასამართლოში სარჩელის შეტანიდან აითვლება.¹⁰⁷ სისხლის სამართალწარმოებისას შესაბამისი დროის პერიოდი საქმის არსებით განხილვამდე იწყება, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი საგამომიებო მოქმედებების განხორციელების პირველივე ეტაპიდან.¹⁰⁸ ადმინისტრაციული სასამართლოების წინაშე სამართალწარმოებისას კი საქმის წინასწარი განხილვის ხანგრძლივობა შეიძლება მხედველობაში იქნეს

¹⁰⁵ ECtHR, 12/2/2009, *Mitterbauer v AUT*, No. 2027/06; ECtHR, 7/7/2009, *Stein v GER*, No. 12895/05; ECtHR, 13/11/2008, *Ommer (no. 1) v GER*, No. 10597/03, §§ 68 et seq.

¹⁰⁶ ECtHR, 28/6/1978, *Konig v GER*, საჩ. ნომ. 6232/73, § 100.

¹⁰⁷ ECtHR, 26/3/1992, *Editions Periscope v FRA*, საჩ. ნომ. 11760/85, § 43; cf. *van Dijk/viering, van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak*-ში, გვ. 603.

¹⁰⁸ ECtHR, 15/7/1982, *Eckle v GER*, საჩ. ნომ. 8130/78, § 73; ECtHR, 10/12/1982, *Corigliano v ITA*, საჩ. ნომ. 8304/78, § 34; ECtHR, 19/2/1991, *Manzoni v ITA*, საჩ. ნომ. 11804/85, § 16; ECtHR, 2/10/2003, *Henning v AUT*, საჩ. ნომ. 41444/98, § 32. *Leigh, The Right to a Fair Trial and the European Convention on Human rights, Weissbrodt/Wolfrum*-თან (ed.), *The Right to a Fair Trial*, 1997, გვ. 653: ითხოვს რელევანტური პერიოდის დაწყებას ფორმალური პროცედურული ნაბიჯების გადადგმამდე, იმისათვის რომ აღმოიფხვრას სამართალწარმოების გაჭიანურება, მაგ., მოწმეებზე ან დოკუმენტებზე მიუწვდომლობის გამო.

მიღებული.¹⁰⁹ სააღსრულებო პროცედურა სამართალწარმოების ხანგრძლივობაში უნდა ჩაითვალოს.¹¹⁰

სამართალწარმოების დასასრულს ძირითადად წარმოადგენს მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო ხდება,¹¹¹ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს კი, როდესაც ბრალდებულს შეატყობინებენ, რომ სამართალწარმოება შეწყდა.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩივრების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცა საქმე, გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.¹¹² თუმცა, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს, ჩვეულებრივ სასამართლოებთან შედარებით, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებულ როლსა და ამოცანებს.¹¹³ საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც კონსტიტუციის გარანტის როლმა, შესაძლოა ზოგჯერ აუცილებელი გახადოს საქმეების განხილვა არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ, საქმის ბუნებისა და პოლიტიკურ და სამოქალაქო პირობებში მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით.¹¹⁴

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და მხედველობაში მიიღება შემდეგი ოთხი კრიტერიუმი:¹¹⁵

ა) იმის მიხედვით, თუ რა დევს მომჩივნისათვის სასწორის პინაზე, დროის მოკლე პერიოდი შეიძლება აღემატებოდეს გონივრული დროის ლიმიტს. სისხლის სამართალწარმოებისას ასეთ მნიშვნელოვან პირად ინტერესად მომჩივნის

¹⁰⁹ ECtHR, 28/6/1978, *Konig v GER*, საჩ. ნომ. 6232/73, § 98; ECtHR, 23/4/1987, *Erkner a. Hofauer v AUT*, საჩ. ნომ. 9616/81, § 64.

¹¹⁰ ECtHR, 23/3/1994, *Silva Pontes v POR*, საჩ. ნომ. 14940/89, §§ 35 et seq; ECtHR, 5/3/2009, *Sandra Jankovic v CRO*, საჩ. ნომ. 38478/05, § 68; *van Dijk/viering, van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak*-ში, გვ. 605.

¹¹¹ ECtHR, 28/6/1978, *Konig v GER*, საჩ. ნომ. 6232/73, § 98; ECtHR, 15/7/1982, *Eckle v GER*, საჩ. ნომ. 8130/78, § 77; ECtHR, 23/9/1997, *Robins v UK*, საჩ. ნომ. 22410/93, § 28 (კანონიერი სამართალწარმოების ყველა ეტაპი „...სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისათვის“, მათ შორის სამართალწარმოების ხარჯები, უნდა იქნას ჩათვლილი გონივრული დროის ფარგლებში); ECtHR, 27/7/2006, *Mamic v SLO*, საჩ. ნომ. 75778/01, §§ 27 et seq.

¹¹² ECtHR, 27/7/2000, *Klein v GER*, საჩ. ნომ. 33379/96, § 39.

¹¹³ ECtHR, 16/9/1996, *Submann v GER*, საჩ. ნომ. 20024/92, §§ 57 et seq; ECtHR, 25/2/2000, *Gast a. Popp v GER*, საჩ. ნომ. 29357/95, § 75; ECtHR, 27/7/2000, *Klein v GER*, საჩ. ნომ. 33379/96, §§ 39 et seq; ECtHR, 12/6/2001, *Trickovic v SLO*, საჩ. ნომ. 39914/98, § 63; ECtHR, 10/12/2009, *Almesberger v AUT*, საჩ. ნომ. 13471/06, § 26.

¹¹⁴ ECtHR, 16/3/2010 (GC), *Orsus v CRO*, საჩ. ნომ. 15766/03, § 109.

¹¹⁵ Cf. მაგ, ECtHR, 29/05/1986, *Deumeland v GER*, საჩ. ნომ. 9384/81, §§ 78 et seq.

პატიმრობაში ყოფნა ადვიარებული; სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, მაგალითად, თუ სამართალწარმოება საოჯახო სამართალს შეეხება.¹¹⁶ მომჩივნის ასაკის შემთხვევაში, სამართალწარმოება დაკავშირებული საპენსიო უფლებებთან, შეიძლება წარმოადგენდეს ასევე მნიშვნელოვან ინტერესს.¹¹⁷ განსაკუთრებული გულისხმიერებაა, ასევე, საჭირო ბავშვის დაპატიმრების (child custody cases) შემთხვევაშიც, რამდენადაც ნებისმიერმა პროცედურულმა დაყოვნებამ შესაძლოა საკითხის *დე ფაქტო* გადაწყვეტაზე იმოქმედოს.¹¹⁸ გარდა ამისა, განსაკუთრებული გულისხმიერებაა საჭირო განათლების უფლებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებების მიმართ,¹¹⁹ რამდენადაც გონივრული ვადის პერიოდის გადაჭარბება შეიძლება საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვის გადაწყვეტი იყოს.

ბ) საქმის სირთულე: თუ სამართალწარმოების მიმდინარეობისას განსაკუთრებით რთული ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხები უნდა განისაზღვროს, შესაბამისი პერიოდის ხანგრძლივობა შესაძლოა შედარებით ხანგრძლივი იყოს. სამართალწარმოების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნას თუ, მაგალითად, არსებობს ექვმიტანილთა დიდი რაოდენობა, თუ ექსპერტის ამომწურავი შეფასებაა საჭირო,¹²⁰ თუ ჩვენება არაერთი მოწმისაგან უნდა იქნას აღებული,¹²¹ ან თუ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია.¹²²

გ) მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მომჩივნის ქმედება. ეკისრება თუ არა მომჩივანს გარკვეული პასუხისმგებლობა სამართალწარმოების გაჭიანურებისათვის. თუმცა მომჩივნის ქმედება ამგვარად არ მიიჩნევა თუ იგი მისთვის ხელმისაწვდომ

¹¹⁶ მაგ., შრომის სამართლის საქმეზე სამართალწარმოებისას, იხ. ECtHR, 29/1/2004, *Kormacheva v RUS*, საჩ. ნომ. 53084/99, § 56; იხ. ასევე, ECtHR, 30/9/2004, *Krastanov v BUL*, საჩ. ნომ. 50222/99, § 70; cf. ასევე ECtHR, 16/3/2010 (GC), *Orsus v CRO*, საჩ. ნომ. 15766/03, § 48 (განათლების მიღების უფლება).

¹¹⁷ ECtHR, 16/9/1996, *Submann v GER*, საჩ. ნომ. 20024/92, § 61; cf. ასევე ECtHR, 2/6/2009, *Codarcea v ROM*, საჩ. ნომ. 31675/04, § 89.

¹¹⁸ ECtHR, 18/2/1999 (GC), *Laino v ITA*, საჩ. ნომ. 33158/96, § 22; ECtHR, 4/12/2008, *Adam v GER*, საჩ. ნომ. 44036/02, § 66; ECtHR, 21/1/2010, *Wildgruber v GER*, საჩ. ნომ. 40402/05 და სხვა, § 61.

¹¹⁹ ECtHR, 16/3/2010 (GC), *Orsus v CRO*, საჩ. ნომ. 15766/03, § 109.

¹²⁰ ECtHR, 27/11/2008, *Potzmader v AUT*, საჩ. ნომ. 8416/05.

¹²¹ ECtHR, 16/12/2003, *Miamowski v POL*, საჩ. ნომ. 42083/98, § 47.

¹²² ECtHR, 17/2/2009, *Ancel v TUR*, საჩ. ნომ. 28541/04, § 54; ორგანიზებული დანაშაულის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით: ECtHR, 13/10/2009, *Tunçe a. o. v TUR*, საჩ. ნომ. 2422/06, § 30.

გასაჩივრების ყველა შესაძლებლობას იყენებს¹²³ ან საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებს.¹²⁴

დ) ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედება: გადაწყვეტია საკითხი, რამდენად ეფექტურად ახორციელებენ სასამართლოები სამართალწარმოებას ან ადგილი ხომ არ ჰქონია მათი მხრიდან მნიშვნელოვან უმოქმედობას.¹²⁵ მე-6 მუხლი უზრუნველყოფს სამართალწარმოების დაჩქარების უფლებას.¹²⁶ სამართალწარმოების დაყოვნებისათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც ისინი თავად არაერთხელ ასაჩივრებენ სასამართლოს ბრძანებებს, რათა გადაავადონ მისი აღსრულება.¹²⁷ სამართალწარმოების გაჭიანურება, ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეწერება, თუ არსებობს კომპეტენციათა კონფლიქტი,¹²⁸ ისევე, როგორც საქმეში ჩართულ სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოთა შორის კოორდინაციის ნაკლებობა.¹²⁹ ასევე გაჭიანურების არასაპატიო მიზეზი შეიძლება იყოს ასევე გაჭიანურების არასაპატიო მიზეზი შეიძლება იყოს ბრალდებულთა და მოწმეთა საქმის განხილვაზე განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადეკვატური ღონისძიებების განუხორციელებლობა.¹³⁰

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს ამ ოთხი კრიტერიუმიდან თითოეულს. თუმცა, ეს კრიტერიუმები არ წარმოადგენს ნიშნულს. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სამართალწარმოების განსაზღვრულ ტიპთან დაკავშირებით დროის გონივრულობის პერიოდს არ აწესებს. სამართალწარმოების

¹²³ ECtHR, 8/12/1983, *Pretto a. o. v ITA*, საჩ. ნომ. 7984/77, § 34; ECtHR, 23/4/1987, *Poiss v AUT*, საჩ. ნომ. 9816/82, § 57; ECtHR, 11/12/2003, *Gerardi v AUT*, საჩ. ნომ. 50064/99, § 56.

¹²⁴ ECtHR, 13/7/2004, *Lislawska v POL*, საჩ. ნომ. 37761/97, § 34.

¹²⁵ ECtHR, 2/10/2003, *Hennig v AUT*, საჩ. ნომ. 41444/98, § 35 (მოთხოვნა სხვა უფლებამოსილი ორგანოსათვის საგადასახადო ფაილების გადაგზავნასთან დაკავშირებით); ECtHR, 26/7/2007, *Vitzthum v AUS*, საჩ. ნომ. 8140/04, § 21 (ერთ წელზე მეტი ვადით უმოქმედობის გამო დარღვევა).

¹²⁶ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m. n. 70.

¹²⁷ ECtHR, 4/3/2004, *Pibernik v CRO*, საჩ. ნომ. 75139/01, §§ 56 et seq.

¹²⁸ ECtHR, 4/3/2004, *Loffler v AUT*, საჩ. ნომ. 72159/01, §§ 56 et seq.

¹²⁹ ECtHR, 8/7/2004, *Vachev v BUL*, საჩ. ნომ. 42987/98, §§ 96.

¹³⁰ ECtHR, 21/9/2004, *Kusmieriek v POL*, საჩ. ნომ. 10675/02, § 65; ასევე ECtHR, 13/7/2006, *Stork v GER*, საჩ. ნომ. 38033/02, §§ 43 et seq: აღნიშნულ საქმეში, სამართალწარმოების ხანგრძლივობა, ოთხსაფეხურიან იურისდიქციაში, მათ შორის წინარე ადმინისტრაციული წარმოება, გაგრძელდა თექვსმეტ წელსა და ხუთ თვეზე მეტი ხნით. გაჭიანურება გამოიწვია გადაწყვეტილების საკმარისად დაუსაბუთებლობის გამო საქმის განმეორებით გადაგზავნამ უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოებისთვის. სასამართლომ, სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებით, ვადის გაგრძელებად (პროლონგაციად) მიიჩნია, როგორც მინიმუმ ორი წლიანი და რვა თვიანი პერიოდი, რომელიც გამოიწვია მოძიების მიერ გერმანიის ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეუტანლობამ.

ხანგრძლივობის გონივრულობა ყოველთვის დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე.¹³¹ სტრასბურგის სასამართლო თითოეულ დამკვიდრებულ კრიტერიუმს დეტალურად არ განიხილავს თუ საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა, გლობალურ შეფასებას საჭიროებს და აღნიშნული საკმარისია მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად.¹³²

ამდენად, გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების უფლება არის არა მხოლოდ ინდივიდების უფლება, არამედ, ის მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებასაც, ისე გამართონ სასამართლო სისტემა, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მე-6 მუხლის მოთხოვნები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე სამართალწარმოების გაჭიანურება ზოგჯერ მისაღებია.¹³³ თუმცა, სასამართლოს ქრონიკული გადატვირთულობა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევას, ეფექტურად მოაწესრიგოს სასამართლო სისტემა და ინდივიდუალურ შემთხვევებში, არღვევს გონივრული ვადის მოთხოვნას.¹³⁴

5. საჯარო განხილვა

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი შეეხება სასამართლო პროცესის საჯარო განხილვის უფლებას. ეს მოიცავს უფლებას არა მარტო სასამართლო პროცესის საჯაროდ განხილვის, არამედ - გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების შესახებაც. ეს უფლება ეკუთვნის არა მარტო თავად სამართალწარმოების მხარეებს, არამედ ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს წვდომა სასამართლო განხილვებზე.

ეს უფლება, ასევე, მოიცავს მისი მედიით გაშუქებას. ელექტრონული მედია აშკარად არ არის მოცემული კონვენციაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გამორიცხულნი არიან მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან.¹³⁵

საჯარო განხილვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ორ შემთხვევაში: პირველი, საზოგადოებას შეიძლება შეეზღუდოს განხილვაზე დასწრება სასამართლო პროცესში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად; მეორე, არის შემთხვევები, როდესაც არ

¹³¹ მეცნიერულად დადგინდა *van Dijk/Viering*-ის მიერ, *van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak*-ში, გვ. 610.

¹³² Cf. ECtHR, 16/12/2004, *Mianowski v POL*, საბ. ნომ. 42083/98, § 46.

¹³³ Cf. *van Dijk/Viering*, *van Dijk/van Hoof/van Rijn/Zwaak*-ში, გვ. 609.

¹³⁴ ECtHR, 27/7/2000, *Klein v GER*, საბ. ნომ. 33379/96, § 43.

¹³⁵ *Grabenwarter/Pabel*, § 24 m.n. 72.

ხდება საქმის ზეპირი განხილვები, შესაბამისად, საზოგადოებაც ვერ ესწრება სასამართლო განხილვებს.

სასამართლო საჯარო განხილვაზე საზოგადოების დასწრების აკრძალვა მოცემულია მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფში. ამ მუხლის მიხედვით, აუცილებელი არ არის, რომ ყველა საფუძველი მოცემული იყოს კანონით. თუმცა, დასწრების აკრძალვის საფუძველები არ უნდა გასცდეს მე-6 მუხლის ფარგლებს.

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მეორე წინადადების მიხედვით, საზოგადოებას ეკრძალება სასამართლო პროცესის მთლიან ან გარკვეულ ნაწილზე დასწრება.¹³⁶

ზოგადად, საქმის საჯარო განხილვაზე საზოგადოების დასწრების აკრძალვა შესაბამისი უნდა იყოს ევროპული სასამართლოს მიერ მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეკრულებლობა) და მე-11 (შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლით დადგენილ პროპორციულობის პრინციპთან.

აუცილებლობის ტესტი მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით სამი საფეხურისაგან შედგება:

- 1) მითითებული მიზნებიდან ერთ-ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს;
- 2) პროცესზე საზოგადოების დასწრების აკრძალვა რეალურად უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთ მიზანს. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ განხილვაში, ქურდობის შემთხვევაში, საზოგადოებას არ უნდა აუკრძალონ სასამართლო პროცესზე დასწრება მორალის ან ეროვნული უსაფრთხოების მოტივით;
- 3) უნდა არსებობდეს შესაბამისი ბალანსი პროცესზე საზოგადოების დასწრების აკრძალვასა და საჯარო განხილვის ინტერესს შორის.

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ჩამოთვლის პროცესზე საზოგადოების დასწრების აკრძალვის საფუძველების 2 ტიპს:

- 1) აკრძალვის ზოგადი საფუძველები, კერძოდ, მორალი, საჯარო წესრიგი ან ეროვნული უსაფრთხოება.
- 2) აკრძალვის პროცესთან დაკავშირებული საფუძველები, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა ინტერესებს, მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვას.

¹³⁶ ECtHR, 26/9/1995, Diennet v FRA, No. 18160/91, §§ 34.

მე-6 მუხლი არ მოითხოვს საქმის საჯაროდ განხილვას იურისდიქციის ყველა დონეზე. თუ სასამართლო მე-6 მუხლის მნიშვნელობით განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებას ან სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა უნდა შეასრულონ მე-6 მუხლის მოთხოვნები. უფრო ნაკლებად მკაცრი სტანდარტები ვრცელდება სააპელაციო სამართალწარმოებაზე.

როგორც ზოგადი წესი, თუ საჯარო განხილვა ჩატარდა პირველ ინსტანციაში, ის უნდა ჩატარდეს ასევე სააპელაციო და საკასაციო განხილვების დროს თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო არის უფლებამოსილი, სრულად განიხილოს სამართალთან და ფაქტებთან დაკავშირებული საკითხები. თუ შესაბამის სასამართლოებს (სააპელაციო, საკასაციო) არ აქვთ ფაქტების დადგენის უფლებამოსილება, ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ ზეპირი განხილვის ჩატარების ვალდებულებისგან.¹³⁷

6. სპეციალური პროცედურული გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში

მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოიცავს სისხლის სამართლებრივ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირთა მინიმალური უფლებების არაამომწურავ სიას, რომელიც წარმოიშობა ეფექტური დაცვის კონცეფციიდან, რაც გულისხმობს ადვოკატისა და ბრალდებულის შეხვედრის უზრუნველყოფას, ეკონომიკური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლო განხილვისას მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას.

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ყველა, ვინც ბრალდებულია სისხლისსამართლებრივ დანაშაულში, აქვს უფლება, დაუყოვნებლივ ეცნობოს მას ამის შესახებ იმ ენაზე, რომელიც ესმის და მიეწოდოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალისა და ამ ბრალის ბუნებისა და ბრალდებულად ცნობის მიზეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ეს გარანტია მოიცავს არა მარტო იმ ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც ეფუძნება წარდგენილი ბრალი, არამედ საბაზისო სამართლებრივ კვალიფიკაციას, რომელიც მიენიჭა ამ ქმედებებს.

პირს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი ბრალდების შესახებ იმ ენაზე, რომელიც ესმის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმის ყველა მასალა უნდა ითარგმნოს მისთვის გასაგებ ენაზე. არ არის აუცილებელი ითარგმნოს ყველა მასალა, თუ ბრალდებულმა მიიღო საკმარისი ინფორმაცია მის წინააღმდეგ არსებული ბრალის ბუნებისა და მიზეზების შესახებ თარჯიმნების მიერ და თუ შეიძლება მის მიერ

¹³⁷ ECtHR, 26/5/1998, Ekbatani v SWE, No. 10563/83, § 31.

წარმოდგენილი არგუმენტებისგან იმის დასკვნა, რომ მან იცის საბრალდებო ოქმის შესახებ.¹³⁸

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირს, რომელიც ბრალდებულია სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში, ენიჭება მისი დაცვის მხარის მომზადებისთვის ადექვატური დროისა და გარემოპირობების უფლება. დროის ელემენტი დიდად არის დამოკიდებული თითოეული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, თუნდაც 5 დღიანი ვადა დისციპლინური გადაცდომის გამო ბრალდებულად ცნობასა და სამართალწარმოების დაწყებას შორის ჩაითვალება მე-6 მუხლის მიზნებისთვის საკმარისად, რადგან მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა, დისციპლინური საბჭოს ორ არასაჯარო სხდომაზე დასწრებით მიეღო ინფორმაცია.¹³⁹

დაცვის მხარის მომზადებისთვის ადექვატური გარემოპირობები, ასევე, მოითხოვს მტკიცებულებებზე წვდომას. საკითხი, თუ რამდენად დაირღვა კონვენციით გარანტირებული უფლებები, უმეტესად დამოკიდებულია თითოეული საქმის გარემოებებზე.

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტი შეიცავს სამ გარანტიას, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის მხარის ეფექტურობას:

- 1) *დაცვა საკუთარი თავის მეშვეობით ან სამართლებრივი დახმარების მეშვეობით.* ეს გარანტია მოიცავს უფლებას, რომ პირი ესწრებოდეს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში გამართულ სხდომებს და თავად იცავდეს თავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ეს გარანტია უმთავრესია წარმოდგენილ გარანტიებს შორის. კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული ბრალდებულის უფლება მოიცავს საკუთარ სისხლისსამართლებრივ სასამართლო პროცესში ეფექტური მონაწილეობის უფლებას, რაც გულისხმობს, რომ დაცვის მხარეს რეალურად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ესწრებოდეს განხილვებს. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, აღწეროს მოვლენების თავისი ვერსია, თქვას, თუ რას არ ეთანხმება და გააცნოს სასამართლოს ფაქტები, რომელიც მისი აზრით, მნიშვნელოვანია თავისი დაცვისათვის.¹⁴⁰

გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყონ ბრალდებულები თვალყური ადევნონ მათი საქმის

¹³⁸ ECtHR, 12/12/1989, Kamasinski v AUT, No. 9783/82, § 79 et seq.

¹³⁹ ECtHR, 28/6/1984, Campbell a. Fell v UK, No, 7819/77 et al, §§ 13, 96.

¹⁴⁰ ECtHR, 8/1/2008, Liebreich v GER, No. 30443/03.

სამართალწარმოებას. ასეთი ვალდებულებები წარმოიშობა, როდესაც ბრალდებულს დაქვეითებული აქვს სმენა, ან იმყოფება მედიკამენტების მოქმედების ქვეშ ან არ ესმის სასამართლოს ენა.¹⁴¹ ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულები შეიძლება უზრუნველყოფილ იყვნენ თარჯიმნით, ადვოკატით ან სოციალური მუშაკით.¹⁴²

სააპელაციო სამართალწარმოების დროს ბრალდებულის დაუსწრებლობა თავისთავად არ იწვევს მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის პირადი დასწრება სააპელაციო სამართალწარმოებისას არ ატარებს ისეთ მნიშვნელობას, როგორც ეს არის პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს.¹⁴³ ამ დროს ყურადღება ექცევა სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, იგი წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შეფასებას, თუ - ფაქტებისა და სამართლებრივი საკითხების შეფასებას ერთად. პირველ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ესწრებოდა პირველი ინსტანციით საქმის განხილვას, ასეთ დროს აუცილებელი აღარაა სააპელაციო სამართალწარმოებაზე მისი დასწრება. მეორე შემთხვევაშიც კი, მე-6 მუხლი ყოველთვის არ მოიცავს პირის პროცესზე დასწრების ვალდებულებას. შესაბამისად, ევროპული სასამართლო თითოეული საქმიდან გამომდინარე აფასებს, რამდენად დაირღვა მე-6 მუხლი ამ კონტექსტში.

ბრალდებულმა შეიძლება, უარი თქვას უფლებაზე, დაესწროს სასამართლო პროცესს. ბრალდებულმა ეს უნდა გააკეთოს ან აშკარად გამოხატული ფორმით, ან უსიტყვოდ. მანამ, სანამ ბრალდებული უარს იტყვის თავის უფლებაზე, უნდა იქნეს ნაჩვენები, რომ მას გონივრულად შეეძლო, განეჭვრიტა მისი ქმედების შედეგები. ზოგადად, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, შეამოწმოს, რეალურად ამბობს თუ არა ბრალდებული უარს სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე.¹⁴⁴

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა სამართალწარმოების გარკვეულ ეტაპებზე მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „გ“ ქვეპუნქტთან შესაბამისია. ასეთი წესები არ არღვევს ბრალდებულის უფლებას, თავას დაიცვას თავი.¹⁴⁵

¹⁴¹ ECtHR, 14/10/2008, Timergaliyev v RUS, No. 40631/02, § 51; ECtHR, 9/4/2009, Grigoryevs-kikh v RUS, No. 22/03, § 78.

¹⁴² ECtHR, 20/1/2009, Guvec v TUR, No. 70337/01, §124.

¹⁴³ ECtHR, 8/4/2010, Sinichkin v RUS, No. 20508/03, §31; ECtHR, 2/11/2010 (GC), Sakhnovskiy v RS, No. 21272/03, § 96.

¹⁴⁴ ECtHR, 9/4/2009, Grigoryevskikh v RUS, No. 22/03, § 91.

¹⁴⁵ Cf. ECtHR, 25/9/1992, Croissant v GER, No. 13611/88, § 32.

2) ადვოკატის არჩევის უფლება. კონვენცია არ ითვალისწინებს, თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს სამართლებრივი დახმარების გამოყენება. შესაბამისად, სახელმწიფოებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ აღნიშნული საკითხი თავიანთ კანონმდებლობაში. ევროპული სასამართლო მხოლოდ განსაზღვრავს, თუ რამდენად არის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში.¹⁴⁶ ადვოკატის არჩევის უფლება, ასევე, ვრცელდება წინასასამართლო ეტაპზე. ბრალდებულს, როგორც წესი, უნდა მიეცეს ადვოკატთან წვდომა პოლიციის მიერ მისი, როგორც ეჭვმიტანილის, პირველივე დაკითხვიდან, ვინაიდან გამოძიების ეტაპზე მიღებული მტკიცებულება განსაზღვრავს დანაშაულის ფარგლებს, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლო პროცესზე.¹⁴⁷ ევროპული სასამართლოს მიხედვით, პოლიციის მიერ დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში ადვოკატის დახმარებით უზრუნველყოფის შეუძლებლობა არღვევს სამართლებრივი დახმარების უფლებას, თუნდაც რთულ გარემოებებში, მაგალითად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.¹⁴⁸

სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ინტერესებისათვის ბრალდებულისთვის სხვა ადვოკატის დანიშვნა იქნება ჩარევა მომჩივნის უფლებაში, აირჩიოს ადვოკატი. ბრალდებულის სურვილების საწინააღმდეგოდ ადვოკატის დანიშვნა შეიძლება გამართლებული იყოს, როდესაც სასამართლო იძლევა სწორ მიზეზებს, თუ რატომ არის ეს ზომა აუცილებელი. ასეთი მიზეზებია, მაგალითად: მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების სწრაფად განხილვის ინტერესები.¹⁴⁹ თუმცადა, თუ სასამართლო დაუნიშნავს ბრალდებულს სხვა ადვოკატს მისი სურვილების საწინააღმდეგოდ და დააკისრებს სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის ხარჯების გაწევას, დაირღვევა მე-6 მუხლი.¹⁵⁰

ადვოკატის არჩევის უფლების მთავარი ასპექტი არის ბრალდებულის უფლება, კომუნიკაცია ჰქონდეს თავის ადვოკატთან ყოველგვარი ჩარევის გარეშე კერძო შემთვევებში, როდესაც ის დაკავებულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, ეს უფლება არის დემოკრატიული საზოგადოების საბაზისო მოთხოვნების ნაწილი: თუ ადვოკატს არ ექნება შესაძლებლობა, მეთვალყურეობის გარეშე ესაუბროს თავის კლიენტს და მიიღოს კონფიდენციალური

¹⁴⁶ ECtHR, 24/9/2009, Pishchalnikov v RUS, No. 7025/04, §§ 66.

¹⁴⁷ ECtHR, 27/11/2008 (GC), Salduz v TUR, No. 36391/02, §§ 54 et seq.

¹⁴⁸ ECtHR, 8/2/1996 (GC), John Murray v UK, No. 18731/91, §§ 61, 70.

¹⁴⁹ ECtHR, 25/9/1992, Croissant v GER, No. 13611/88, § 28 et seq.

¹⁵⁰ ECtHR, 25/9/1992, Croissant v GER, No. 13611/88, §§ 35 et seq.

ინსტრუქციები მისგან, მისი სამართლებრივი დახმარება დაკარგავს სარგებლობას, მაშინ, როდესაც კონვენცია მიზნად ისახავს, რომ მოახდინოს ისეთი უფლებების გარანტირება, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია.¹⁵¹ ადვოკატსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობა უნდა იყოს დაფუძნებული ნდობასა და ურთიერთგაგებაზე. იმის მიუხედავად, რომ შეიძლება არსებობდეს შეზღუდვა დაკავებულ პირსა და მის ადვოკატს შორის შეხვედრების დროისა და ადგილის მიხედვით, ნემისმიერმა ასეთმა შეზღუდვამ, რომელიც დაკავშირებულია კლიენტებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობებზე, არ უნდა შეუშალოს ხელი ეფექტურ სამართლებრივ დაცვას.¹⁵² გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს ზომები, რათა მოახდინოს ბრალდებულის უფლებების შეზღუდვის საკმარისად კომპენსირება. ასეთი ზომები შეიძლება, მაგალითად, იყოს სატელეფონო გასაუბრების ორგანიზება; ან ადვოკატის დანიშვნა, რომელსაც შეეძლება მომჩივნის მონახულება დაკავების ცენტრში.¹⁵³

ბრალდებულის უფლება, აიყვანოს ადვოკატი, ასევე, მოიცავს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის წინასასამართლო სხდომაზე, ადვოკატის დასწრების უფლებას. თუმცა, რაც შეეხება წინასასამართლო ეტაპს, სასამართლოები არ არიან ვალდებული, რომ თავად უზრუნველყონ ადვოკატის ყოფნა სხდომაზე.¹⁵⁴

ბრალდებულის დაცვა რეალურად წარმოადგენს ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის ურთიერთობას, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან. შესაბამისად, სახელმწიფოები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებების ყველა ცალკეულ ხარვეზზე. ეს პრინციპი მოქმედებს ორივე ტიპის ადვოკატზე, როგორც სახელმწიფოს მიერ, ასევე თავად ბრალდებულის მიერ დაქირავებულ ადვოკატზე.¹⁵⁵ გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოებს ეკისრებათ ბრალდებულის ადვოკატით უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება. შესაბამისად, შიდა სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ, იცოდა თუ არა

¹⁵¹ ECtHR, 13/5/1980, Artico v ITA, No. 6694/74, §33; ECtHR, 9/10/2008, Moiseyev v RUS, No. 62936/00, §§ 202 et seq; ECtHR, 2/11/2010 (GC), Sakhovskiy v RUS, No. 21272/03, § 97.

¹⁵² ECtHR, 31/1/2002, Lanz v AUT, No. 24430/94, § 52; ECtHR, 2/11/2010 (GC), Sakhnovskiy v RUS, No. 21272/03, § 102.

¹⁵³ ECtHR, 2/11/2010 (GC), Sakhnovskiy v RUS, No. 21272/03, § 106.

¹⁵⁴ Harris/O'Boyle/Warbrick, p. 314

¹⁵⁵ ECtHR, 12/12/1989, Kamasinski v AUT, No. 9783/82, § 65, ECtHR, 1/3/2006 (GC), Sejdivic v ITA, No. 56581/00, § 95; ECtHR, 27/4/2006, Sannino v ITA, No. 30961/03, § 49; ECtHR, 5/10/2009, Prezec v CRO, No. 48185/07, §30.

ბრალდებულმა ადვოკატის დახმარების მიღების უფლების შესახებ და რეალურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, მიეღო ადვოკატის დახმარება.¹⁵⁶

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ შეუძლია პროცესზე დასწრება, ის ვალდებულია, რომ უზრუნველყოს პროცესზე მისი ჩანაცვლება სხვა ადვოკატით.¹⁵⁷ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ჩაერიონ ამგვარ სიტუაციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი აშკარად ვერ უზრუნველყოფს ეფექტური სამართლებრივი დაცვის განხორციელებას.¹⁵⁸

3) *ადვოკატის უფასო დახმარების მიღების უფლება.* ეს უფლება შეზღუდულია ორი ასპექტით: ბრალდებულს არ უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ გადაუხადოს თანხა ადვოკატს; უფასო სამართლებრივი დახმარება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს ამას. დღემდე, საკმარისი ფინანსური საშუალების უქონლობის კრიტერიუმს არ უთამაშია სასიცოცხლო როლი ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს უფასო იურიდიული დახმარების მინიჭებას არამარტო იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ სამართალწარმოების შედეგი იქნებოდა განსხვავებული, თუ ბრალდებულს ეყოლებოდა ადვოკატი. ზოგადად, ეს საკითხი უნდა გაიყოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში და სააპელაციო სასამართლოებში წარმომადგენლობად. პირველი ინსტანციის სამართალწარმოებაში ყურადღება უნდა მიექცეს თავად დანაშაულის სერიოზულობას და საქმის კომპლექსურობას. მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს ბრალდებულის უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფას, როდესაც ბრალდებული დაკავებულია.¹⁵⁹ სააპელაციო სამართალწარმოებისას, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს უფასო იურიდიული დახმარების გაწევას ბრალდებულისთვის, თუ სამართალწარმოებისას წარმოიშობა რთული სამართლებრივი საკითხი, რომელიც უნდა შეფასდეს ზეპირი განხილვისას, როდესაც ბრალდების მხარე წარმოდგენილია პროცესზე, და როდესაც ბრალდებული სამართლებრივი წარმომადგენლის გარეშე სამართალწარმოებაში ვერ შეიტანს ეფექტურ წვლილს.¹⁶⁰

¹⁵⁶ ECtHR, 20/10/2009, Yunus Aktas q.o. v TUR, No. 24744/03, § 50.

¹⁵⁷ ECtHR, 22/2/1994, Tripodi v ITA, No. 13743/88, § 30.

¹⁵⁸ ECtHR, 27/4/2006, Sannino v ITA, No. 30961/03, § 49.

¹⁵⁹ ECtHR, 5/10/2009, Prezec v CRO, No. 48185/07, §32.

¹⁶⁰ ECtHR, 28/3/1990, Granger v UK, No. 11932/86, § 47; ECtHR, 25/9/1992, Pham Hoang v FRA, No. 13191/87, §§ 39 et seq.

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი მოიცავს მხარეთა თანასწორობას. ის ანიჭებს ბრალდებულს უფლებას, რომ მან დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოდიან სასამართლო პროცესზე და დაკითხოს მოწმეები, რომლებიც პროცესზე მის სასარგებლოდ გამოდიან, იმავე პირობებში, რა პირობებშიც არიან მოწმეები მის წინააღმდეგ. შესაბამისად, უნდა გაიმიჯნოს შეჯიბრებითი სამართალწარმოება(1) და მოწმეთა სასამართლოში გამოძახება(2). ევროპულმა სასამართლომ ყოვლისმომცველი პრეცედენტული სამართალი ჩამოაყალიბა მოწმეთა და ექსპერტის მტკიცებულებებზე.

- 1) მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი აშკარად მოიცავს ბრალდებულის უფლებას, დაკითხოს ან დაკითხულ იქნენ მოწმეები, რომლებიც გამოდიან მის წინააღმდეგ. მუხლი მოითხოვს, რომ ჩვენებები მიცემულ იქნეს ზეპირად, საჯარო განხილვებზე (ბრალდებულის თანდასწრებით და როდესაც საჭიროა, ადვოკატის თანდასწრებით) და რომ სასამართლო პროცესი არის შეჯიბრებითი. ეს აძლევს ბრალდებულს უფლებას, რომ გაასაჩივროს წარმოდგენილი მტკიცებულება და მოწმეთა სანდოობა.¹⁶¹

ტერმინ „მოწმეს“ აქვს „ავტონომიური“ მნიშვნელობა კონვენციის სისტემაში. ეს მიემართება ნებისმიერ ადამიანს, რომლის ჩვენებაც არსებითად შეიძლება გახდეს ბრალდებულის მსჯავრდების საფუძველი. ექპერტები გათანაბრებულნი არიან მოწმეებთან.

ბრალდებულს, ზოგადად, უნდა მიეცეს ყველა სასამართლო პროცესზე მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეების დაკითხვის უფლება. მოწმეთაგან მტკიცებულების მიღების მისი უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს. ეს შეზღუდვები გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მოწმეთა დაკითხვა შეიძლება ვერ იქნეს უზრუნველყოფილი ყველა სასამართლო პროცესზე.¹⁶²

გამონაკლის შემთხვევებში, ბრალდებულს შეიძლება უარი ეთქვას მოწმეთა დაკითხვაზე. ამგვარი უარის საფუძვლები უნდა იყოს აშკარად განსაზღვრული. მოწმეთა დაკითხვაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ მათი დაკითხვა შეუძლებელია გარკვეული სამართლებრივი და ფაქტობრივი სირთულეების გამო. სამართლებრივი სირთულეები, მაგალითად, შეიძლება იყოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის

¹⁶¹ ECtHR, 16/2/2000, Rowe a. Davis v UK, No. 28901/95, § 61; ECtHR, 12/5/2000, Khan v UK, No. 35394/97, §§ 38 et seq; ECtHR, 24/6/2003, Dowsett v UK, No. 39482/98, §§ 41 et seq; ECtHR, 13/10/2005, Bracci v ITA, No. 36822/02, § 49 et seq.

¹⁶² ECtHR, 26/4/1991, Asch v AUT, No. 12398/86, § 28; ECtHR, 3/2/2004, Laukkanen a. Manninen v FIN, No. 50230/99, § 35.

უფლება,¹⁶³ ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს მოწმეთა დაკითხვას. ფაქტობრივი სირთულეები მოიცავს მოწმის ავადმყოფობას, გარდაცვალებას, მოწმის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის უქონლობას, სასამართლოში გამოცხადებაზე მოწმის უარს, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოძახებულია სათანადოდ, ასევე, სამართლებრივი დახმარების შესახებ სისხლისსამართლებრივ საკითხებში სხვა სახელმწიფოს მიერ უარს, სადაც მოწმე იმყოფება, ან იმ შემთხვევას, როდესაც სისხლისსამართლებრივ საკითხებში საერთო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც სახელმწიფოს მოწმის გამოძახების ნებას რთავს, არ არსებობს ან არ გამოიყენება.¹⁶⁴ ასევე ფაქტობრივი სირთულე შეიძლება იყოს, როდესაც მოწმე გამოძახებულია სასამართლოში, მაგრამ არ მიდის, რადგან კანონით მისი იძულება არ შეიძლება (მაგ: საპარლამენტო იმუნიტეტი). სირთულეების არსებობისას (აბსოლუტურ სირთულეს წარმოადგენს მოწმის გარდაცვალება) ევროპული სასამართლო მოუწოდებს კომპეტენტურ სასამართლოებსა და საჯარო ხელისუფლების ორგანოებს, რომ მიიღონ გონივრული და შესაბამისი ღონისძიებები, რათა გადალახონ ეს სირთულეები (მაგალითად, მოწმეთა წინააღმდეგ სანქციის მიღება, რომლებიც არ ცხადდებიან სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ მანამდე ისინი სათანადოდ გამოიძახა).¹⁶⁵

გარდა ბრალდებულის უფლების შეზღუდვისა, დაკითხოს მოწმეები, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ როგორ ატარებს სასამართლო ზოგადად სამართალწარმოებას, და კერძოდ, უნდა გაირკვეს, სასამართლო პროცესი ერთიანობაში სამართლიანი იყო თუ არა, და პატივი ეცა თუ არა ბრალდებულის უფლებებს. ეს არ მოითხოვს მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფით განმტკიცებული ყველა გარანტიის შესრულებას, არამედ ეხება მომჩივნის მიერ მოწმეების დაკითხვის უფლებას, რომლის მიზანია დადგინდეს მოწმეების სანდოობა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი არ აქვს თუ მოწმეთა სანდოობის თაობაზე საკითხი სხვა საშუალებების მეშვეობითაც წამოიჭრება.¹⁶⁶

ბრალდებულის უფლება, ასევე, შეიძლება შეიზღუდოს იმ ფარგლებით, რომელიც არ არის მე-6 მუხლით დაცული გარანტიების შესაბამისი, როდესაც მსჯავრდება ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ მოწმის ჩვენებებს, რომელიც გაკეთებულია იმ პირის

¹⁶³ ECtHR, 24/11/1986, *Unterpertinger v AUT*, No. 9120/80, § 30; ECtHR, 26/4/1991, *Asch v AUT*, No. 12398/86, § 28.

¹⁶⁴ EComHR, 1/6/1972, *X. v AUT*, No. 4428/70.

¹⁶⁵ ECtHR, 28/8/1992, *Artner v AUT*, No. 13161/87, § 22.

¹⁶⁶ *Bourmanne*, RTDH 1995, 51.

მიერ, ვისი დაკითხვის შესაძლებლობაც მოწმეს არ ჰქონია, ან გამოძიების და ან სასამართლო პროცესის დროს. როდესაც მსჯავრდება მხოლოდ და მხოლოდ ეყრდნობა სასამართლო პროცესზე არადამსწრე მოწმეს, ევროპული სასამართლო დეტალურად იკვლევს მთელ სამართალწარმოებას, რათა განსაზღვროს, არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის ისეთი ღონისძიებები, რომელიც მისცემდა ბრალდებულს ამ ჩვენებების სანდოობის სამართლიანი და სათანადო შემოწმების საშუალებას.¹⁶⁷

ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით არის ის, რომ საქმის ყველა ასპექტი უნდა აბალანსებდეს ერთმანეთს. ხელისშემშლელი ეფექტები უნდა კომპენსირდეს სასამართლო პროცესის ჩატარებისას განსაკუთრებული გულისხმიერების მაღალი ხარისხით, რომელიც შეედრება მტკიცებულებათა შეფასების ჩვეულებრივ პროცესს. გადამწყვეტია ის ფაქტორი, არის თუ არა გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ დაფუძნებული ირიბ ჩვენებაზე, ან არის თუ არა ის დადასტურებული შემდგომი მტკიცებულებით.¹⁶⁸ ასევე მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა ბრალდებულს დაეკითხა მოწმე სამართალწარმოების მთელი ხანგრძლივობის დროს, თუ მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე. მოწმის მიერ ირიბი ჩვენების მიცემის დროს, რომელიც გადამწყვეტია ბრალდებულის მსჯავრდებისათვის, მნიშვნელოვანია შეფასდეს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს სათანადო და ადექვატური შესაძლებლობები, რომ გაესაჩივრებინა მოწმის ჩვენებები.

- 2) მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი, ასევე, მოიცავს ბრალდებულის უფლებას, დაესწროს და დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის სასარგებლოდ გამოდიან პროცესზე, იმავე პირობებში, როგორც მოწმეები მის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი აშკარად შეიცავს უფლებას ბრალდებულის მიერ მის სასარგებლოდ მოწმეთა გამოძახების შესახებ, ბრალდებულს, ასევე, უდაოდ აქვს უფლება, გამოიძახოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ იძლევიან ჩვენებას. ეს კი შესაბამისად, აძლევს მას უფლებას, სათანადოდ და ადექვატურად გაასაჩივროს მოწმეთა ჩვენებები. იმისათვის, რომ სისხლის სამართალწარმოებაში უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მხარის უფლებები, სპეციალური მნიშვნელობა ენიჭება, რომ მოწმეები ესწრებოდნენ ზეპირ განხილვებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ორგანოები დგამდნენ ნაბიჯებს იმისათვის, რათა

¹⁶⁷ ECtHR, 15/12/2011 (GC), Al-Khawaja a. Tahery v UK, No. 26766/05 et al, § 147.

¹⁶⁸ ECtHR, 19/2/1991, Isgro v ITA, No. 11339/85, § 35; ECtHR, 26/4/1991, Asch v AUT, No. 12398/86, §§ 28, 30; ECtHR, 28/8/1992, Artner v AUT, No. 13161/87, §§ 22 et seq.

დაადგინონ იმ მოწმეთა ადგილსამყოფელი, რომელთა შესახებ ცნობები რთული დასადგენია.¹⁶⁹

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი, მისი ფორმულირებისა და მიზნიდან გამომდინარე, ვრცელდება მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების ზეპირ განხილვებზე.

მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ე“ ქვეპუნქტი ანიჭებს ბრალდებულს თარჯიმნის უფასო დახმარების მიღების უფლებას, თუ მას არ ესმის და ვერ საუბრობს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლოში. ბრალდებულს თარჯიმნის დახმარებამ უნდა მისცეს ინფორმაცია მის წინააღმდეგ აღძრული საქმის შესახებ, და შესაძლებლობა, რომ დაიცვას თავისი თავი, კერძოდ, წარმოადგინოს სასამართლოს წინაშე მოვლენათა თავისი ვერსია.¹⁷⁰ თარჯიმნის უფასო დახმარება, უფასო იურიდიული დახმარებისგან განსხვავებით, აბსოლუტური უფლებაა. არ არსებობს თარჯიმნის უფასო დახმარების უფლება, თუ ბრალდებულს ესმის სასამართლოს ენა, მაგრამ პოლიტიკური მიზეზებით უარს ამბობს მის გამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლში ცხადად არ არის მითითებული, ეს მუხლი მაინც მოიცავს დუმის უფლებასა და უფლებას, არ მოახდინოს პირმა თვითინრკინირება (*'nemo tenetur'*), რომელიც წარმოადგენს მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის არსს. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მჭიდრო კავშირს.¹⁷¹

დუმის უფლებას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი.¹⁷² ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს ისე, რომ არ განადგურდეს ამ უფლების მთავარი არსი. იმისათვის, რომ შეფასდეს, დგას თუ არა ეს საკითხი, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: მტკიცებულების მისაღებად გამოყენებული იძულების ბუნება და ხარისხი, გამოძიებაში საჯარო ინტერესის წონა და ცალკეული დანაშაულისთვის

¹⁶⁹ ECtHR, 13/11/2003, *Rachdad v FRA*, No. 71846/01, § 25; ECtHR, 13/4/2006, *Zentar v FRA*, No. 17902/02, § 26.

¹⁷⁰ ECtHR, 24/2/2009, *Protopapa v TUR*, No. 16084/90, § 80.

¹⁷¹ ECtHR, 8/2/1996 (GC), *John Murray v UK*, No. 18731/91, § 45; ECtHR, 17/12/1996, *Saunders v UK*, No. 19187, 91, § 68; ECtHR, 21/12/2000, *Heaney a. Mc Guinness v IRE*, No. 34720/97, § 40; ECtHR, 8/4/2004, *Weh v AUT*, No. 38544/97, § 46.

¹⁷² ECtHR, 8/2/1996 (GC), *Jon Murray v UK*, No. 18731/91, § 47; ECtHR, 2/5/2000, *Condron v UK*, No. 35718/97, § 56; ECtHR, 21/12/2000, *Heaney a. McGuinness v IRE*, No. 34720/97, § 47; ECtHR, 8/4/2004, *Weh v AUT*, No. 38544/97, § 46.

დაწესებული სასჯელი, პროცედურებში რაიმე რელევანტური დაცვის არსებობა და ამგვარად მიღებული მასალის გამოყენება.¹⁷³

7. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია ბრალდებულ პირთა კიდევ ერთ უფლებას წარმოადგენს, თუმცა ის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფში განცალკევებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებისაგან. ის იცავს ინდივიდუალურ პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულის ჩადენაში. ამ წესის მიხედვით ისინი არიან უდანაშაულონი, სანამ არ დამტკიცდება მათი ბრალეულობა. ეს გარანტია მოიცავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელზეც მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი ვრცელდება. პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან სხვა მიზეზებით (მაგ: გაძევებისთვის მომზადება), არ არიან დაცულნი მე-6 მუხლით.¹⁷⁴

უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება მანამ, სანამ დამტკიცდება ბრალდებულის დამნაშავეობა კანონის შესაბამისად. უდანაშაულობის პრეზუმფცია ვრცელდება სასამართლო პროცესის დასრულებამდე. გარკვეულ შემთხვევებში მისი მოქმედება ვრცელდება საქმეებზე, სადაც მიუხედავად ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარებისა, ბრალეულობის გარკვეული პრეზუმფციები რჩება. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ასევე, ვრცელდება სააპელაციო სამართალწარმოების დროსაც, მაშინაც კი, როდესაც პირველმა ინსტანციამ პირი მსჯავრდებულად ცნო.

სასამართლოს წევრებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. მოსამართლეებმა არ უნდა დაიწყონ საქმის განხილვა წინასწარშექმნილი განწყობით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. ამ კონტექსტში, ხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გადაფარვა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გარანტირებული მოსამართლის (სუბიექტური) მიუკერძოებლობის ვალდებულებასთან და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. ევროპული სასამართლო, ზოგადად, აღარ განიხილავს, მოხდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის დარღვევა, თუ მან უკვე დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა.¹⁷⁵

¹⁷³ ECtHR, 15/6/1999, Tirado Ortiz a. Lozano Martin v ESP, No. 43486/98; ECtHR, 21/12/2000, Heaney a. McGuinness v IRE, No. 34720/97, §§ 51-55; ECtHR, 5/11/2002, Allan v UK, No. 48539/99, § 44; ECtHR, 11/7/2006 (GC), Jalloh v GER, No. 54810/00, §101, 117.

¹⁷⁴ Harris/O'Boyle/Warbrick, p. 299.

¹⁷⁵ ECtHR, 15/12/2005 (GC), Kyprianou v CYP, No. 73797/01, § 136 et seq.

უდანაშაულობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მტკიცების ტვირთი, ზოგადად, ბრალდების მხარეს აწევს და რომ ნებისმიერი ვარაუდი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.¹⁷⁶ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ბრალდების მხარემ უნდა მოიპოვოს მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებს ბრალდებულის ბრალეულობას და ბრალდებულის ვალდებულებას არ წარმოადგენს, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი კრძალავს სასამართლოსა და სხვა საჯარო ორგანოთა წარმომადგენლების მიერ წინასასამართლო, ისევე, როგორც სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე, ბრალდებულთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებას, რომელიც გამოხატავს მოსაზრებას, რომ ბრალდებული დამნაშავეა, მანამ, სანამ ეს კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება.¹⁷⁷

საზოგადოებისთვის გარკვეული სენსაციური საქმეების გაცნობისას, რომლის მიღების სპეციალური ინტერესი აქვს საზოგადოებას, პოლიცია და ბრალდების მხარე, როგორც წესი, გადიან ვიწრო ბაგირზე. არის თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, უნდა დადგინდეს სადავო განცხადების გარკვეული გარემოებების კონტექსტში.¹⁷⁸ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის შესახებ განცხადების გაკეთება შეიძლება, გამართლებული იყოს საზოგადოების მაღალი ინტერესით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განცხადების გაკეთებისას გამოსაყენებელი ლექსიკა ფრთხილად უნდა შეარჩიონ.

მას-მედიით ინფორმაციის გაშუქებისას არსებობს კავშირი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიცემულ ინფორმაციასა და პოლიციის გამოძიების შესახებ ინფორმაციის მიცემას, საბრალდებო ოქმებსა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიცემას შორის. უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება, დაირღვეს მედიის მიერ, როდესაც მათი ქმედებები აღარ მიეწერება სახელმწიფოსა და მის ორგანოებს. სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან, რომ თავიდან აიცილონ სისხლის სამართალწარმოებისას მედიისა და საზოგადოების მიერ წინასწარ გადაწყვეტილების გამოტანა. იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობა, მათ უნდა შეასრულონ თავიანთი პოზიტიური

¹⁷⁶ ECtHR, 6/12/1988, Barbera, Messegue a. Jabardo v ESP, No. 10590/83, § 77; ECtHR, 24/7/2008, Melich a. Beck v CZE, No. 35450/04, § 49.

¹⁷⁷ ECtHR, 12/7/1988, Schenk v SUI, No. 10862/84, § 51; ECtHR, 29/5/2012, Shuvalov v EST, No. 39820/08 et al, § 75; Harris/O'Boyle/Warbrick, p. 303.

¹⁷⁸ ECtHR, 10/10/2000, Daktaras v LIT, No. 42095/98, §§ 41 et seq; ECtHR, 28/10/2004, Y.B. a. o. v TUR, No. 48173/99, §§ 44 et seq.

ვალდებულებები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მედია ინფორმაციას აშუქებს ობიექტური თვალთახედვიდან, რათა აცილებულ იქნეს წინასწარ გადაწყვეტილების გამოტანა.

უფრო მეტიც, მე-6 მუხლის დარღვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი იმ სასამართლო გადაწყვეტილებებში, სადაც პირი საბოლოოდ გამართლდა. სტრასბურგის სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არაერთ იმ საქმეზე დაადგინა, სადაც პირი „მტკიცებულებების ნაკლებობის“ გამო გამართლდა.

საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა არ გამორიცხავს იმავე ფაქტებთან დაკავშირებით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც კომპენსაციის მინიჭების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოებით შეიძლება დადგინდეს. კომპენსაციის საკითხი განცალკევებულ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს, რომელიც ეფუძნება იმ კრიტერიუმსა და მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფასებისგან განსხვავებულია; ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი ნაკლებად მკაცრია. თუმცა, თუ კომპენსაციის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება შეიცავს მტკიცებულებას, რომლითაც მოპასუხე მხარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, ამან შეიძლება წამოჭრას საკითხი, რომელიც ხვდება მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის ფარგლებში და სცდება სამოქალაქოსამართლებრივ ფარგლებს.¹⁷⁹

¹⁷⁹ ECtHR, 11/2/2003, Y. v NOR, No. 56568/00, §§ 42 et seq; ECtHR, 15/5/2008, Orr v NOR, No. 31283/04, § 51.